პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

სამშაბათი, 12 სექტემბერი, 1944 წ. № 185 (7138). ფასი 20 კაპ.

დღეს გაზეთში:

საოქტომბრო სოციალისტური შეჯიბრების დროშით. მოწინავე (1-ლი გვერდი).

საბჭოთა საინფორმაციო ბიუროსაგან. 10 და 11 სექტემბრის ოპერატიული ცნობები (1-ლი გვერდი).

სტატია ამხანაგ სტალინის შესახებ ალჟირის გაზეთში (1-ლი გვერდი).

„სალამი საქართველოს მშრომელებს“ (1-ლი გვერდი).

ახალგაზრდობის გაწვევა საფაბრიკო-საქარხნო სკოლებსა, სახელოსნო და რკინიგზის სასწავლებლებში. „პრავდის“ მოწინავე (მე-2 გვერდი).

სამამულო ომის სახელოვანი მეომარნი: საბჭოთა კავშირის გმირი შალვა ჩილაჩავა; პარტიზანი მიხეილ გეწაძე; მეზღვაური ირაკლი ... წონელიძე (მე-2 გვერდი).

საოქტომბრო შეჯიბრება საქართველოს ... (მე-3 გვერდი.)

პარტიული ცხოვრება: მოწინავე ცვლის აგიტატორი; საქართველოს კ. პ. (ბ) რაიკომების პლენუმები (მე-3 გვერდი).

გ. ნატროშვილი — სიმონ ჩიქოვანის პოეზია (მე-3 გვერდი).

გერმანელ გენერალ მოზერის განცხადება (მე-4 გვერდი).

უცხოეთის ამბები. დეპეშები (1-ლი და მე-4 გვერდები).

საოქტომბრო სოციალისტური შეჯიბრების დროშის

ახლოვდება დიადი დღესასწაული — ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის XXVII წლისთავი. წელს ამ დიად თარიღს საბჭოთა ხალხი განსაკუთრებულ ვითარებაში ხვდება. გმირი წითელი არმიის ბრწყინვალე ისტორიული გამარჯვებები, რომლებიც მოპოვებულია საბჭოთა კავშირის დიდი მარშლის გენიალური **სტალინის** მხედართმთავრობით, ზურგის მუშაკებს აღფრთოვანებენ ახალი შრომითი თავდადებისათვის, მაღალნაყოფიერი სტახანოვური შრომისათვის.

საბჭოთა ზურგის პატრიოტებში ფართო გამოხმაურება ჰპოვა სტალინის სახელობის მოსკოვის ლენინის ორდენოსანი საავტომობილო ქარხნის კოლექტივის მიმართვამ საოქტომბრო სოციალისტური შეჯიბრების გაშლის შესახებ. ავტოქარხნელებმა გამოხატეს მთელი საბჭოთა ხალხის მისწრაფება — ახალი საწარმოო გამარჯვებებით შეხვდნენ ოქტომბრის დიად დღესასწაულს. საყოველთაო - სახალხო პატრიოტული მოძრაობა — საოქტომბრო სოციალისტური შეჯიბრება ჩაღდება ყველგან, ყველა ფაბრიკასა და ქარხანაში, ტრანსპორტზე, ელექტროსადგურებში, შახტებში, მშენებლობებზე. ათიათასობით და ასიათასობით ჩვენი მუშები, მოსამსახურეები და ინჟინერ-ტექნიკოსები შეუსვენებლივ, მთელი ენერგიით შრომობენ, რათა მზარდი დახმარება გაუწიონ ფრონტს. მიაწოდონ მას მეტი იარაღი და საჭურველი, გააძლიერონ ფართო მოხმარების საქონლის გამოშვება, დაკმაყოფილონ მშრომელთა მოთხოვნილებანი.

ჩვენმა ტრანსპორტელებმა უკვე გააჩაღეს საოქტომბრო სოციალისტური შეჯიბრება და იკისრეს მთელი რიგი ახალი კონკრეტული ვალდებულებანი ტრანსპორტის მთარისათვის მოსამზადებლად. თბილისელმა მანქანათმშენებლებმა პირობა დასდეს, რომ საოქტომბრო სოციალისტური შეჯიბრების ფართოდ გაშლის შედეგად ქვეყანას გეგმის გადამეტებით მისცემენ 300 ათასი მანეთის პროდუქციას და, გარდა ამისა, მოზოგავენ 200 ათასი მანეთის ნედლეულსა და დამხმარე მასალებს. სამრეწველო-ფინანსურმა მეკონსერვეებმა შეჯიბრებაში გამოიწვიეს გორელი მეკონსერვეები. ტყიბულელმა მეშახტეებმა გადასწყვიტეს საოქტომბრო შეჯიბრებაში ტყვარჩელელებთან პირველობა მოიპოვონ და მისცენ ქვეყანას ქვანახშირი გეგმის გადამეტებით.

ყოველდღიურად იზრდება საოქტომბრო სოციალისტურ შეჯიბრებაში ჩამდგარ კოლექტივთა რიცხვი. მათი უახლესი ამოცანა სავსებით ნათელია — ახალი საწარმოო გამარჯვებებით, გეგმების ვადაზე ადრე შესრულებით, მაღალხარისხოვანი პროდუქციის გამოშვებით აღნიშნონ დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის XXVII წლისთავი.

პარტიული და პროფესიული ორგანიზაციები. საწარმოთა ხელმძღვანელები სათავეში უნდა ჩაუდგნენ მასების ფართო საწარმოო პოლიტიკურ აქტივობას და ყოველმხრივ ხელი შეუწყონ საოქტომბრო შეჯიბრების მთელი სიგრძე-სიგანით გაშლას. მიზანშეწონილად, სწორად მოვაწყოთ შრომა საწარმოში, საამქროში, უბანზე, ბრიგადაში — ამით უფრიდეს დახმარებას გავუწევთ საოქტომბრო შეჯიბრებაში ჩაბმულთ დიადი დღესასწაულისათვის ნაკისრი ახალ საწარმოო ვალდებულებათა შესრულებაში. მთავარი აქ ის არის, რომ მივაღწიოთ შრომის ნაყოფიერების შემდგომ შეუჩერებელ აღმავლობას.

შრომის ნაყოფიერების ზრდის ერთ-ერთი პირობა არის საწარმოში ახალმოსულთა კვალიფიკაციის ამაღლება. ახლა უკვე აღარ შეიძლება იმით დაკმაყოფილება, რომ ახალმოსულმა მუშამ აითვისა ესა თუ ის ოპერაცია. საჭიროა ისინი მათ მიერ არჩეულ პროფესიაში ნამდვილი ოსტატები გახდნენ. ეს ძველი კადრის მუშებს ავალებს ყოველდღიური დახმარება გაუწიონ ახალმოსულებს ტექნიკის, მუშაობის გაუმჯობესებული მეთოდების დაუფლებაში.

მოწინავეთა გამოცდილების პოპულარიზაცია ახლა უფრო საჭიროა, ვიდრე ოდესმე. უნდა მივაღწიოთ იმას, რომ ჩვენი სახელოვანი ადამიანების მუშაობის ხერხები და მეთოდები დაუყოვნებლივ გავხადოთ მასების კუთვნილებად. დაწვრილებით გავაცნოთ ყველას.

ცნობილია, რომ შრომის ნაყოფიერების ზრდის უმნიშვნელოვანესი საშუალებებია ნაკადური სისტემით მუშაობა, რაციონალიზატორულ წინადადებათა გატარება, ტექნოლოგიური პროცესის სისტემატური გაუმჯობესება. ამოცანა იმაში მდგომარეობს, რომ მოვაწყოთ და დავნერგოთ ნაკადური მუშაობა იქ, სადაც ეს დღემდე არ არის შემოღებული, მუდამ ვზრუნავდეთ რაციონალიზატორულ ღონისძიებათა გატარებაზე, ვაუმჯობესოთ ტექნოლოგიური პროცესი.

ზამთრის პერიოდი მრეწველობაში ყოველთვის უფრო ძნელი და საპასუხისმგებლოა, მით უმეტეს ახლა, სამამულო ომის პირობებში. საოქტომბრო შეჯიბრების ერთ-ერთი მთავარი ამოცანა ის არის, რომ ყოველმხრივ მოვამზადოთ საწარმოები ზამთრისათვის. აუცილებელია მეტი მზრუნველობა მუშათა კულტურულ - საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებისათვის.

კიდევ უფრო ფართოდ გავშალოთ მასობრივ-პოლიტიკური მუშაობა, დავნერგოთ საამქროში, უბანზე, ბრიგადაში, ცვლაში მაღალი საწარმოო კულტურა, უზრუნველვყოთ პროდუქციის თვითღირებულების შემდგომი შემცირება, მოვაწყოთ ნედლეულისა და დამხმარე მასალების ზუსტი აღრიცხვა და მომჭირნეობით ხარჯვა, დავრაზმოთ მუშათა და ინჟინერ-ტექნიკოსთა მასები საფაბრიკო მარკის ავტორიტეტის ასამაღლებლად, სანიმუშოდ მოვაწყოთ მუშათა საერთო საცხოვრებლები. მოვაწესრიგოთ მუშათა სასადილოების საქმიანობა, დავამყაროთ სისუფთავე და წესრიგი საწარმოს მთელ ტერიტორიაზე!

შრომის დისციპლინის შემდგომი განმტკიცებით, მეტი ორგანიზებულობით ჩვენ უნდა მივაღწიოთ ახალ მძლავრ აღმავლობას საბჭოთა მრეწველობაში.

უფრო მაღლა აიწიოთ საოქტომბრო სოციალისტური შეჯიბრების დროშა! მივაღწიოთ ახალ წარმატებებს ყველა ფაბრიკასა, ქარხანასა, ელექტროსადგურსა და მაღაროში, ყველა მშენებლობაზე!

საოქტომბრო სოციალისტური შეჯიბრების დროშით წინ — ახალი გამარჯვებებისაკენ!

საბჭოთა საინფორმაციო ბიუროსაგან

10 სექტემბრის ოპერატიული ცნობა

10 სექტემბრის განმავლობაში რუმინეთის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილის ტერიტორიაზე ჩვენმა ჯარებმა დასძლიეს მტრის წინააღმდეგობა და დაიკავეს ქალაქი და რკინიგზის სადგური ვამა, აგრეთვე ბრძოლებით დაიკავეს დასახლებული პუნქტები რუსკაია-მოლდავიკა, ვატრა-მოლდავიკა, კრუჩა, ხოლდა, ბროშტენი, დიეზდიო-ბეკაში.

რუმინეთის ცენტრალურ ნაწილში ჩვენმა ჯარებმა, რუმინეთის ჯარებთან ერთად, დაიკავეს ქალაქი და რკინიგზის კვანძი სფინტულ-გეორგე, აგრეთვე ბრძოლებით დაიკავეს 50-ზე მეტი სხვა დასახლებული პუნქტი, მათ შორის დიდი დასახლებული პუნქტები კატალინა, კარატნა, ბიუს�დი, მალნაში, აიტა მიჟლოკი და რკინიგზის სადგურები სინკაპოლნა, საუსეკი, სინზენი, ბიუსაადი, ბოდოკი.

ფრონტის სხვა უბნებზე მზვერავები მოქმედებდნენ და მთელ რიგ პუნქტებში ადგილობრივი მნიშვნელობის ბრძოლები იყო.

9 სექტემბრის განმავლობაში ჩვენმა ჯარებმა ყველა ფრონტზე დააზიანეს და მოსპეს გერმანელთა 8 ტანკი. საჰაერო ბრძოლებში და საზენიტო არტილერიის ცეცხლით ჩამოგდებულია მოწინააღმდეგის 10 თვითმფრინავი.

11 სექტემბრის ოპერატიული ცნობა

11 სექტემბრის განმავლობაში ქალაქ ლომჟის სამხრეთით და სამხრეთ-დასავლეთით ჩვენმა ჯარებმა ბრძოლებით დაიკავეს 30-ზე მეტი დასახლებული პუნქტი, მათ შორის ანევო, პოდგუჟე, გელჩინი, კონავიცე (4 კილომეტრზე ქალაქ ლომჟის სამხრეთით), ბოგუშიცე, ხოინი-სმეშნე, სულკი, მიასტკოვო, ზარუზე, კულეშკა.

რუმინეთის ცენტრალურ ნაწილში ჩვენი ჯარები, რუმინეთის ჯარებთან ერთად, ბრძოლებით მიიწევდნენ წინ და დაიკავეს ქალაქები სიბიშოარა, მედიაში, ჰეტრო შანი, აგრეთვე დაიკავეს 200-ზე მეტი სხვა დასახლებული პუნქტი, მათ შორის დიდი დასახლებული პუნქტები ბარდიაში, ხოშოროდ ოკლანდი, ხოგიზი, სას-ლეოდოშე, ადამოში და რკინიგზის სადგურები მეერშეი, აპაცა, აუზუსტინი, დანოშე.

დამატებითი ცნობებით, ბულგარეთის ტერიტორიაზე შარაინის მე-3 ფრონტის ჯარებმა ტყვედ წამოიყვანეს გერმანელთა მე-13 სატანკო დივიზიის მეთაური გენერალ-ლეიტენანტი ტრაუბერი და გერმანელთა 153-ე ქვეითი დივიზიის მეთაური გენერალ-ლეიტენანტი ბაიერი.

ფრონტის სხვა უბნებზე მზვერავები მოქმედებდნენ და მთელ რიგ პუნქტებში ადგილობრივი მნიშვნელობის ბრძოლები სწარმოებდა.

10 სექტემბრის განმავლობაში ჩვენმა ჯარებმა დააზიანეს და მოსპეს გერმანელთა 12 ტანკი. საჰაერო ბრძოლებში და საზენიტო არტილერიის ცეცხლით ჩამოგდებულია მოწინააღმდეგის 7 თვითმფრინავი.

* * *

ქალაქ ლომჟის სამხრეთით და სამხრეთ-დასავლეთით ჩვენი ჯარები ბრძოლებით მიიწევდნენ წინ. მოწინააღმდეგემ თავისი პლაცდარმი მდინარე ნარევის მარცხენა ნაპირზე, ქალაქ ლომჟის მახლობლად, გადააქცია ძლიერ გამაგრებულ რაიონად, რომელიც აღმოსავლეთ პრუსიის მისადგომებს იფარავს. გერმანელებმა პლაცდარმზე თავი მოუყარეს ქვეითი ჯარის, ტანკების, თვითმავალი ქვემეხების დიდ ძალებს და შეუპოვარ წინააღმდეგობას გვიწევენ. 6 შენაერთის მებრძოლებმა დასძლიეს მრავალრიცხოვანი ტანკსაწინააღმდეგო და ქვეითი ჯარის საწინააღმდეგო დაბრკოლებანი და გერმანელები განდევნეს თავდაცვის რამდენიმე კვანძიდან. მოწინააღმდეგისაგან გაწმენდილია დასახლებული „პუნქტი ხოინი-სმეშნე, რომელიც მდებარეობს 8 კილომეტრზე ლომჟის დასავლეთით. მტერი არაერთხელ გადმოვიდა კონტრიერიშზე, მაგრამ საბჭოთა ჯარების მიძალების შედეგად უკუიქცეოდა ხოლმე. მარტო ერთ უბანზე მოსპობილია ერთ ბატალიონზე მეტი ჰიტლერელი. წამოღებულია დაფა და წამოყვანილია ტყვეები.

* * *

ცენტრალურ რუმინეთში ჩვენმა ჯარებმა, რომლებიც რუმინეთის ჯარებთან ერთად მოქმედებდნენ, 35 კილომეტრით წაიწიეს წინ და დაიკავეს ქალაქები მედიაში და სიგიშოარა. მოწინააღმდეგეს განუწყვეტლივ მოჰყავს რეზერვები და აბამს მათ ბრძოლაში. ჩვენი მძლავრი ნაწილები მტრის ზურგში აღწევენ, თავს ესხმიან გერმანელთა და უნგრელთა სამარშო ბატალიონებს, რომლებიც ფრონტზე მიდიან და სპობენ მათ. არტილერისტებმა ოფიცერ ვლასოვის მეთაურობით უეცრად დაუშინეს ცეცხლი მოწინააღმდეგის კოლონას და მოსპეს 400 ჰიტლერელი. სხვა უბანზე საბჭოთა ტანკისტებმა უკანდასახვი გზა მოუჭრეს მოწინააღმდეგის სამხედრო ეშელონებს. ეშელონის მცველმა გერმანელებმა სცადეს გაქცევით ეშველათ თავისათვის, მაგრამ მოსპობილ იქნენ ან ტყვედ ჩაგვიყვანდნენ. ჩვენმა ტანკისტებმა ხელთ იგდეს ბუთი ეშელონი სამხედრო ტვირთებიანად და ტყვედ წამოიყვანეს 200 გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი.

* * *

ქალაქ შაულიაის (შავლი) ჩრდილოეთით ჩვენმა მზვერავმა რაზმებმა ერთი დღის განმავლობაში მოსპეს 180 ჰიტლერელი. 6 ნაწილის მზვერავთა ჯგუფმა მტრის ზურგში შეაღწია და გზის პირად ჩასაფრდა. მზვერავებმა მალე დაინახეს, რომ მათ უახლოვდებოდა მოწინააღმდეგის ჯავშანტრანსპორტიორი. საბჭოთა მებრძოლებმა აიფეთქეს ვერშანელთა ჯანქანა, ხოლო მისი ეკიპაჟი ხუთი კაცის შემადგენლობით ტყვედ წამოიყვანეს. სხვა უბანზე ჰიტლერელებმა საბჭოთა პოზიციების მიმართულებით გამოუშვეს ხუთი ტანკეტ-ტორპედო. სამი ტანკეტი ნაღმებზე აფეთქდა, ხოლო დანარჩენები მოსპობილ იქნა ტანკსაწინააღმდეგო თოფების ცეცხლით.

* * *

ქალაქ კაუნასის (კოვნოს) დასავლეთით მებრძოლთა ჯგუფმა ზემდგე ეფიმოვის მეთაურობით ღამით გადალახა მდინარე შეშუპა და აღმოსავლეთ პრუსიის ტერიტორიაზე გადავიდა. მზვერავებმა ავტომატები დაუშინეს გერმანელთა რაზმს და 16 ჰიტლერელი გაანადგურეს. ჩვენმა მებრძოლებმა ძვირფასი ცნობები შეიგროვეს და მშვიდობით დაბრუნდნენ თავიანთ ნაწილში.

* * *

ქალაქ იანუეში (პოლონეთი) შესდგა მასობრივი საპროტესტო მიტინგი გერმანელი ფაშისტ არამზადების მიერ მიიდანეკში ჩადენილ სისხლისმღვრელ ბოროტმოქმედებათა წინააღმდეგ. ქალაქის ნაციონალური საბჭოს თავმჯდომარემ კოვალინსკიმ სთქვა: „კაცობრიობის ისტორიას ჯერ კიდევ არ ახსოვს ისეთი მხეცობა და დანაშაულნი, როგორიც ჰიტლერელებმა ჩაიდინეს მაიდანეკის ბანაკში და სხვა ადგილებში. ამას ჩვენ გერმანელ ჯალათებს არ ვაპატიებთ. პოლონელი ხალხი სულითა და გულით უძღვნის მადლობას წითელ არმიას იმისათვის, რომ მან სიცოცხლე შეუნარჩუნა და კვლავაც უნარჩუნებს ასათასობით პოლონელს“.

* * *

პოლონეთის მოსახლეობა წითელი არმიის ნაწილებს აქტიურ დახმარებას უწევს. სოფელ ეიმენის მცხოვრებმა სივაკმა საბჭოთა მზვერავებს უჩვენა ფონი მდინარე ვისლოკზე, გაჰყვა მებრძოლებს და მამაცურად იბრძოდა გერმანელების წინააღმდეგ. სოფელ პილნის მცხოვრებლებმა თავიანთი ინიციატივით აღადგინეს გერმანელების მიერ დანგრეული ხიდი, რომელზეც მალე გაიარეს საბჭოთა ტანკებმა. სოფელ მიაზუნოვის მცხოვრებლებმა რამდენიმე ხიდი ააგეს. პეტრე შვეცმა, რომელიც ხიდების მშენებლობის სამუშაოებს ხელმძღვანელობდა, განაცხადა: „ჩვენ, პოლონელები, ბევრი რამით ვართ დავალებული წითელი არმიისაგან, ჩვენ, რომელმაც გერმანელი ოკუპანტებისაგან გაგვათავისუფლა. ჩვენ მთელი ძალებითა და საშუალებებით დავეხმარებით საბჭოთა ჯარებს ჩვენი საერთო მტრის — ჰიტლერული გერმანიის საბოლოო დამარცხებაში“. ქალაქ ლანუტუნი მცხოვრებლები მონაწილეობას იღებენ ჰოსპიტლის მოწყობაში და დახმარებას უწევენ წითელი არმიის დაჭრილ მებრძოლებს.

„სალამი საქართველოს მშრომელებს“

საუბარი სამგზის საბჭოთა კავშირის გმირთან გვარდიის პოლკოვნიკ ა. პოკრიშკინთან

(მოსკოვი, „კომუნისტის“ საკუთარი კორესპონდენტისაგან)

10 სექტემბერს კრემლში სამგზის საბჭოთა კავშირის გმირს გვარდიის პოლკოვნიკ ა. პოკრიშკინს გადაეცა მესამე მედალი „ოქროს ვარსკვლავი“, რომლითაც იგი დაჯილდოებულია გერმანელ ფაშისტ დამპყრობთა წინააღმდეგ ბრძოლებში ჩადენილი საგმირო საქმეებისათვის.

თქვენს კორესპონდენტთან საუბარში პოლკოვნიკმა პოკრიშკინმა განაცხადა:

„დღეს მე განვიცადე ჩემს სიცოცხლეში ყველაზე ბედნიერი დღე. ჩემი ერთადერთი სურვილია დავბრუნდე ფრონტზე და კვლავ ვანადგურო მტერი, რომლის სრული დამარცხება უკვე მოახლოებულია.

ვსარგებლობ შემთხვევით და გთხოვთ ჩემი მხურვალე სალამი გადასცეთ საქართველოს მშრომელებს, გაზეთ „კომუნისტის“ რედაქციის მუშაკებსა და მკითხველებს. იმედი მაქვს ომის დამთავრების შემდეგ ვინახულო მზიური საქართველო“.

სამგზის საბჭოთა კავშირის გმირი პოლკოვნიკი ა. ი. პოკრიშკინი და სოციალისტური შრომის გმირი ავიაკონსტრუქტორი ს. ა. ლავოჩკინი

ფოტო ა. ლესისა

საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

სტატია ამხანაგ სტალინის შესახებ ალჟირის გაზეთში

ალჟირი, 11 სექტემბერი (საკადესი). გაზეთი „ჟურნალ დე დემოკრასი“ აქვეყნებს პოლ ბლანის სტატიას, რომელსაც სათაურად აქვს „რაში მდგომარეობს სტალინის სიდიადე“.

„მთელი პროფლიო, — სწერს სტატიის ავტორი, — აღტაცებულია წითელი არმიით, რომლის მძლავრმა საბრძოლო მოქმედებამ ჯერ დასასუტა, ხოლო შემდეგ დაამსხვრია გერმანიის სამხედრო მანქანა. მოსკოვი და სტალინგრადი, ორიოლი და ხარკოვი რომ არ ყოფილიყო, შეუძლებელი იქნებოდა მოსტკოვერის გამარჯვებანი, ჩრდილოეთ აფრიკის განთავისუფლება, იტალიის დაკავება, ნორმანდიასა და სამხრეთ საფრანგეთში გადასხდომა, პარიზისა და მარსელის განთავისუფლება“.

მაგრამ როგორ იყო მომზადებული, როგორ გახდა შესაძლებელი და როგორ იქნა მიღწეული ეს წარმატებანი? — აყენებს საკითხს ბლანი და უპასუხებს:

„ეს „სასწაული“ საბჭოთა კავშირის ხალხებმა შრომით მოახდინეს. მაგრამ, უწინარეს ყოველისა, ეს გამარჯვებანი შესაძლებელი გახდა იმიტომ, რომ მრავალი წლის მანძილზე ორმა არაჩვეულებრივმა ადამიანმა, შეაჯამა რა თავისი ქვეყნის რესურსები, ხალხის მასების შრომის მთელი ძალიერება მიმართა იქითკენ, რომ ეს უზარმაზარი რესურსები, რომელთა ექსპლოატაცია თითქმის არ ხდებოდა, გადაექცია რეალურ სამდიდრეებად, რომელთაგან ზოგი დაკმაყოფილებდა მოსახლეობის საჭიროებას, ზოგი კი უზრუნველჰყოფდა ხალხებს საბჭოთა თანამეგობრობის დაცვას. გრანდიოზულ სამუშაოთა ამ გეგმის სახელმძღვანელებმა, მოამზადება და განხორციელება, ჩემი აზრით, ლენინსა და სტალინს, პირველ რიგში, აძლევენ არა მარტო მათი თანამემამულეების, არამედ აგრეთვე მთელი კაცობრიობის მხრივ აღტაცებისა და მადლობის უფლებას. ის ფაქტი, რომ სტალინმა შესძლო გაეერთიანებინა ძველ რუსეთის დაქსაქსულ ხალხთა დონისძიებანი, რომ მან შესძლო წაეყვანა ისინი იმ გზით, რომელმაც წმინდა სასოფლო-სამეურნეო და წარაკითხვის თითქმის უცოდინარი ქვეყანა გადააქცია მსოფლიოში ერთ-ერთ ყველაზე უფრო ინდუსტრიულ და კულტურულ ქვეყნად, შედეგია იმ ადამიანის ნებისყოფისა, რომლის შორსმჭვრეტელობა და სიდინჯე მის სიმტკიცეს ეთანაბრება“.

„სტალინმა, — სწერს შემდეგ ბლანი, — უცხოელთა თვალში სახელი მოიხვეჭა თავგასამხედრო მიღწევების მეოხებით. ამომჭალაქო ბელადი საბჭოთა არმიის მთავარსარდალი გახდა“. „მაგრამ არის კიდევ ერთი დარგი, რომელშიც სტალინი აღწევს ისეთ მორალურ სიმაღლეებს, რომლისთვისაც მანამდე არ მიუღწევია არც ერთ მხედართმთავარს, თვით იულიუს კეისარსაც კი. ლაპარაკია მის ზომიერებაზე საგარეო პოლიტიკაში. მიუხედავად გერმანელებისა და მათი სატელიტების უმაგალითო სასასტიკისა, ფინეთის მთავრობისადმი წარდგენილი წინასწარი ზავის პირობები, რუმინეთისადმი წარდგენილი პირობები მისი კაპიტულაციის მომენტში ზომიერი რჩება“.

ჩერჩილის მომავალი თათბირი რუზველტთან

ოტავა, 11 სექტემბერი (საკადესი). გუშინ კანადაში ჩამოვიდა დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრი ჩერჩილი. მას თან ახლავან: ომიანობის დროის ტრანსპორტის მინისტერ ლორდი ლუზრსი, პირადი მრჩეველი მეცნიერულ საკითხებზე ლორდი ჩერუელი, არმიისა და ფლოტის ხელმძღვანელები.

ოფიციალურად გამოცხადდა, რომ კვებეკში ვაშინგტონიდან ჩავიდნენ ინგლისის წარმომადგენელი შტაბების უფროსთა ვაშინგტონის გაერთიანებულ საბჭოში ფელდმარშალი ჩარლზ დილი და სხვა წარმომადგენლები ინგლისის არმიისა და ფლოტისა ამერიკის შეერთებულ შტატებში.

ლონდონი, 11 სექტემბერი (საკადესი). როგორც რეიტერის სააგენტო გადმოგვცემს, ჩერჩილი ჩავიდა კვებეკში, სადაც იგი ეთათბირება იქ დღეს ჩასულ ამერიკის შეერთებულ შტატების პრეზიდენტ რუზველტს.

ნიუ-იორკი, 11 სექტემბერი. (საკადესი). როგორც ასოშიეიტედ პრესის სააგენტო კვებეკიდან გადმოგვცემს, რუზველტის მდივანმა ერლიმ ჟურნალისტებს განუცხადა, რომ რუზველტის თათბირი ჩერჩილთან მნიშვნელოვანწილად მიეძღვნება სამხედრო საკითხებს. რუზველტის საინსპექციო მგზავრობა პირველ-პარმბორსა და ალეუტის კუნძულებზე და მისი თათბირები ადმირალ ნიმიცთან და გენერალ მაკარტურთან, როგორც ერლიმ განაცხადა, „ახლანდელ კონფერენციის უაღრესად აუცილებელი წანამძღვარი“ იყო.

მარშალ ჟიჟოს ბრძანება სახალხო-განმათავისუფლებელი არმიის ნაწილებისადმი

ჟენევა, 10 სექტემბერი (საკადესი). როგორც რადიოსადგური „სლობოდა იუგოსლავია“ იუწყება, მარშალმა ტიტომ იუგოსლავიის სახალხო-განმათავისუფლებელი არმიის პირადს შემადგენლობას მიმართა ბრძანებით, რომელშიც ნათქვამია, რომ „დადგა ის დიადი სასიხარულო დღე, რომელსაც თქვენ და ათასობით დაღუპული გმირი ძმიმე განსაცდელის სამნახევარი წლის განმავლობაში ელოდებოდით. 6 სექტემბერს ჩვენი დიდი მოკავშირე — სახელოვანი წითელი არმია იუგოსლავიის საზღვარს მოადგა“.

ბრძანებაში აღნიშნულია, რომ გერმანელთა დივიზიები, რომლებმაც „ბალკანეთის ნახევარკუნძულის ყოველი მხრიდან თავი მოიყარეს იუგოსლავიის ტერიტორიაზე, ცდილობენ გავიდნენ ჩვენი ქვეყნიდან, რათა თავი დაალწიონ დამსახურებულ სასჯელს. მაშ ულმობლად დაარტყი! მტრის ჯარებს, მოსპეთ მტრის ცოცხალი ძალა... რაც უფრო მეტი ფაშისტას ძვლები დარჩება ჩვენს მიწა-წყალზე, მით უფრო უკეთესად გადავუხდით სამაგიეროს ამ აუოაცხელი მსხვერპლისათვის, რაც ფაშისტი დამპყრობლების ბოროტმოქმედებათა შედეგად გავიღეთ. მოსპეთ კომუნიკაციები და საშუალება არ მისცეთ მოწინააღმდეგეს ჩვენი ქვეყნიდან გაიტანოს ჩვენი ხალხების ქონება და საომარი ტექნიკა, რომლის საშუალებითაც მან ჩვენი ქვეყანა დაიმონა.

დაჭრილი ფაშისტი მხეცი თავის გზაზე სპობს ყოველივეს, რაც კი ხელში მოხვდება, ხოცავს ჩვენს ბავშვებს, ქალებსა და მოხუცებს; იგი ცდილობს გერმანიაში წაიყვანოს მოზრდილი მამაკაცები, რათა კიდევ რამდენიმე საათით გაიხანგრძლივოს სიცოცხლე. იუგოსლავიის ხალხების წინაშე ჩვენი წმიდა მოვალეობაა—დავიცვათ მათი სიცოცხლე და ქონება, შური ვიძიოთ მილიონობით მსხვერპლისათვის.

გმირი წითელი არმია აღმოსავლეთში და დანარჩენი მოკავშირეები სამხრეთსა და დასავლეთში სდევნიან ფაშისტთა ურდოებს გერმანიისაკენ. ჩვენი დიდი მოკავშირეების წინაშე ჩვენი მოვალეობაა ყველაფერი ყოველივე შესაძლებელი ამ გადამწყვეტ ბრძოლებში საზიზღარი გერმანელი დამპყრობლების საბოლოო მოსპობისათვის, დამონებული ხალხების ტანჯვათა მალე შეწყვეტისათვის“.

დასასრულ ბრძანებაში ნათქვამია: „დაე სახელოვანი წითელი არმიის მოსვლამ ჩვენს საზღვართან გამოიწვიოს თქვენი ახალი აღფრთოვანება და გააძლიეროს თქვენი მზადყოფნა—კიდევ უფრო ძლიერ ურტყათ გერმანელ ოკუპანტებს და სამშობლოს მოღალატეებს. ამ უკანასკნელ ბრძოლებშიც დაამტკიცეთ, რომ თქვენ უძლეველი წითელი არმიის ღირსეული, მოკავშირეები ხართ“.

საფრანგეთის ახალი კაბინეტის შემადგენლობა

ლონდონი, 10 სექტემბერი (საკადესი). როგორც აფის სააგენტო გადმოგვცემს, საფრანგეთის ნაციონალურმა რადიომაუწყებლობამ გამოაქვეყნა საფრანგეთის ახალი კაბინეტის წევრთა შემდეგი სია:

პრემიერ-მინისტრი დე-გოლი; უპორტფელო მინისტრი ჟანენე; იუსტიციის მინისტრი დე მენტონი; საგარეო საქმეთა მინისტრი ბიდო; შინაგან საქმეთა მინისტრი ტიქსიე; სამხედრო მინისტრი დიეტელმი; საზღვაო მინისტრი ჟაკინო; ავიაციის მინისტრი ტეიონი; ეკონომიკის მინისტრი მანდეს-ფრანსი; სამრეწველო წარმოების მინისტრი ლაკოსტი; მიწათმოქმედების მინისტრი პრიეანი; მომარაგების მინისტრი ყაკობი; ჯანმრთელობის დაცვის მინისტრი ბიიუ; შრომის მინისტრი პაროდი; სახალხო განათლების მინისტრი კაპიტანი; ინფორმაციის მინისტრი ეტიენი, გზათა მინისტრი მეიერი; ფინანსთა მინისტრი ლე პერკი; ფოსტის, ტელეგრაფისა და ტელეფონის მინისტრი ლორანი; ჩრდილოეთ აფრიკის საქმეთა მინისტრი კატრუ; სამხედრო ტყვეებისა და გადასახლებულების საქმეთა მინისტრი ფრენე; კოლონიების მინისტრი პლევენი.

მდგომარეობა ბულგარეთში

სოფია, 11 სექტემბერი (საკადესი). როგორც სოფიის რადიო გადმოგვცემს, ბულგარეთის მინისტრთა საბჭომ 8 სექტემბერს მიიღო დადგენილება მთელ ბულგარეთში სამხედრო წესების გამოცხადების შესახებ. ეს ღონისძიება, როგორც სოფიის რადიოს ცნობაშია აღნიშნული, დასაბუთებულია იმით, რომ ბულგარეთი გერმანიასთან ომის მდგომარეობაში იმყოფება. მთავრობამ მთელ მოსახლეობას მიმართა დარაზმულობის, სიმშვიდისა და წესრიგისაკენ მოწოდებით.

სოფიის კომენდანტმა გამოსცა განკარგულება, რომლის თანახმადაც პოლიციის ყველა მოსამსახურე თავის პოსტზე უნდა დარჩეს და დაეხმაროს ახლად შექმნილ მილიციას. ყველა, ვინც სამსახურის ადგილზე არ გამოცხადდება, საბოტაჟის გამწევად ჩაითვლება.

მასწავლებელთა პროფესიული ორგანიზაციების დროებითმა ხელმძღვანელობამ ყველა ბულგარელ მასწავლებელს მიმართა მოწოდებით მხარი დაუჭირონ ახალ მთავრობას. ასევე მოწოდებანი გამოაქვეყნეს შოფერების პროფესიული ორგანიზაციის კომიტეტმა, აგრეთვე ფოსტის, ტელეგრაფის, ტელეფონისა და რადიოს პროფესიული ორგანიზაციების დროებითმა ცენტრალურმა ხელმძღვანელობამ.

10 სექტემბრიდან სოფიაში დაიწყო გაზეთ „სვობოდას“ გამოცემა.

მოკავშირეთა ავიაციის მოქმედება

ლონდონი, 10 სექტემბერი (საკადესი). ოფიციალურად იუწყებიან, რომ 9 სექტემბერს ღამით ინგლისის ბომბდამშენებმა გააფთრებული და კონცენტრირებული თავდასხმა მოახდინეს მიუნხენ-გლადბახზე (რამდენიმე მილზე დუისბურგის სამხრეთ-დასავლეთით). გაჩნდა დიდი ხანძრები. დაბომბილ იქნა აგრეთვე ბრაუნშვაიგი.

ამერიკელთა 1.100-ზე მეტი თვითმფრინავი 10 სექტემბერს დღისით თავს დაესხა გერმანიის და დაბომბა შტუტგარტის, ნიურნბერგისა და ულმის რაიონები. იერიშის უმთავრესი ობიექტები იყვნენ საავიაციო, სატანკო და საავტომობილო ქარხნები.

საბერძნეთის მთავრობა ნეაპოლში გადავიდა

კაირო, 11 სექტემბერი (საკადესი). საბერძნეთის მთავრობის ადგილსამყოფელი კაიროდან გადატანილია ნეაპოლში, პრემიერ-მინისტრი პაპანდრეუ და მთავრობის წევრები უკვე იტალიაში იმყოფებიან.

ახალგაზრდობის გაწვევა საფაბრიკო-საქარხნო სკოლებსა, სახელოსნო და რკინიგზის სასწავლებლებში

მძლავრ რაზმად შედიან საბჭოთა ზურგის მშრომელთა მრავალმილიონიან არმიაში შრომითი რეზერვების სისტემის სასწავლებელთა მიერ მომზადებული მუშა ახალგაზრდობის კადრები. სახელოსნო, რკინიგზის სასწავლებლებისა და საფაბრიკო-საქარხნო სკოლების აღზრდილებს შეიძლება შეეხვედეთ ჩვენი ქვეყნის ყოველ კუთხეში, მრეწველობის სულ სხვადასხვა უბანზე, ტრანსპორტზე, მშენებლობებზე. ახალგაზრდა მუშები მონაწილეობას იღებენ წითელი არმიისთვის იარაღის დამზადებაში, ძველი საწარმოების გაფართოებასა და ახლების მშენებლობაში, აღდგენითს სამუშაოებში.

ჩვენი სახალხო მეურნეობის ინტერესები მოითხოვენ, რომ ფაბრიკებსა და ქარხნებში, შახტებსა და სამადნოებში, ტრანსპორტზე განუწყვეტლივ მოდიოდეს ახალი მუშახელი. ამ მიზნით მთელ ჩვენს ქვეყანაში პერიოდულად ხდება ჭაბუკებისა და ქალიშვილების განსაზღვრული რაოდენობის გაწვევა (მობილიზაცია) შრომითი რეზერვების მთავარი სამმართველოს სკოლებსა და სასწავლებლებში. წელს მთავრობის დადგენილებით სსრ კავშირის სახკომსაბჭოსთან არსებული მუშახელის აღრიცხვისა და განაწილების კომიტეტი, საოლქო აღმასკომები, სამხარეო აღმასკომები და მოკავშირე და ავტონომიურ რესპუბლიკათა სახკომსაბჭოები ვალდებული არიან გაიწვიონ 350 ათასი კაცი, რომლებიც პირველ რიგში გაგზავნილ იქნებიან იმ სასწავლებლებში, რომლებიც მოწყობილია შავი მეტალურგიის, სამხედრო მრეწველობის, ქვანახშირის მრეწველობის, რკინიგზის ტრანსპორტისა და სხვ. საწარმოთა ბაზაზე.

საფაბრიკო-საქარხნო სკოლებში მასობრივ პროფესიათა მუშების და სახელოსნო და რკინიგზის სასწავლებლებში კვალიფიციური მუშების მომზადებას დღევანდელს პირობებში განსაკუთრებული სამხედრო-სამეურნეო მნიშვნელობა აქვს. ადგილობრივი პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციები ვალდებული არიან ისე მოაწყონ გაწვევა, რომ იგი დაწყებულ და დამთავრებულ იქნას ზუსტად მთავრობის მიერ დაწესებულ ვადაში და რომ გაწვეულ ახალგაზრდობას შეეძლოს დროზე დაიწყოს სასწავლო წელი.

სწორედ ასე მოეპყრნენ მომავალ გაწვევას ვორონეჟისა და სტალინგრადის ოლქებში, სადაც მომზადება სერიოზულად და მოფიქრებულად სწარმოებს. ამავე დროს მთელ რიგ ოლქებში—ომსკის, სარატოვის, ჩელიაბინსკის, იაროსლავლის, გორკისა და სხვა ოლქებში—დღემდე არ არის მოწყობილი გაწვევი და სამედიცინო კომისიები, დარგობრივად არ არის განსაზღვრული გასაწვევი ახალგაზრდობის კონტინგენტები, შემოწმებული არ არის, თუ რამდენად არიან მომზადებულნი სკოლები დ სასწავლებლები მოსწავლეთა შესახვედრად. რით უნდა ავხსნათ ასეთი მდგომარეობა? შეიძლება სარატოველებს უფრო ცუდი პირობები აქვთ, ვიდრე სტალინგრადელებს? არა გვგონია. საქმე სულ სხვა რამეშია. კიდევ არიან ისეთი ხელმძღვანელები, რომლებიც გაწვევას ისე უყურებენ, როგორც მეორეხარისხოვან სამუშაოს, რომელსაც ბეჯითი ყურადღების მიქცევა არ ესაჭიროება. საჭირო არ არის იმის მტკიცება, რომ ასეთი შეხედულება მცდარია.

ახლანდელი გაწვევის განსაკუთრებული თვისება ის არის, რომ მასში მონაწილეობას იღებს საბჭოთა კავშირის თითქმის უკლებლივ ყველა ოლქი, მხარე და რესპუბლიკა, მათ შორის გერმანელთა ოკუპაციისაგან განთავისუფლებული უკრაინის, ბელორუსიის, კარელია-ფინეთისა და მოლდავეთის სს რესპუბლიკები. ომმა დროებით შესწყვიტა იქ მუშათა კადრების სწავლება. მაშინ, როცა სწორედ განთავისუფლებული რაიონები ყველაზე უფრო არიან დაინტერესებულნი, რომ ახალი მუშათა შევსება მიიღონ, მაშასადამე, ადგილობრივმა ორგანიზაციებმა მასობრივ ახსნა-განმარტებითს მუშაობას განსაკუთრებით ფართო გასაქანი უნდა მისცენ.

რა თქმა უნდა, ეს მუშაობა უნდა ჩატარდეს ყველა ქალაქსა და სოფელში და არა მარტო განთავისუფლებულ რაიონებში. სამამსო მასალა უხვად არის. ყოველ საწარმოში ითობით და ასობით არის ახალგაზრდა მუშა, რომლებიც სწავლის დამთავრების შემდეგ გახდნენ სტახანოველები, დაწინაურებული არიან წარმოების მეთაურთა პოსტებზე. ბევრი მათგანი თავის ქალაქში, თავის ქარხანაში ფართო პოპულარობით სარგებლობს, მათ პატივს სცემენ, ისინი დაჯილდოებული არიან მთავრობის ჯილდოებით. და აი ამაზე უნდა ვუამბოთ რადიოთი, გაზეთებში, ან კრებებზე, რათა გასაწვევმა ახალგაზრდობამ დაინახოს, თუ რა ფართო პერსპექტივები მოელეს მას.

შეგიძლია ვისწავლოთ ქ. მოსკოვის მეტალისტების № 1 საფაბრიკო-საქარხნო სკოლის კოლექტივისაგან, თუ როგორ უნდა ვემზადოთ ახალი კონტინგენტის შესახვედრად. სკოლადამთავრებულებმა რიაზანის ოლქიდან გაზეთ „კომსომოლსკაია პრავდის“ საშუალებით წერილით მიმართეს თავისი მხარის ახალგაზრდებს. წერილში ისინი ლაპარაკობენ თავისი სწავლის შედეგებზე, თავის პროფესიაზე, იმ ჩასუხსაგებ და დამოუკიდებელ მუშაობაზე, რომელიც მათ მიანდეს დედაქალაქის ორდენოსანი ქარხნის „კრასნი პროლეტარის“ საამქროებში. ამავე თემაზე ამას წინათ რადიოთი სიტყვა წარმოსთქვეს სკოლის დირექტორმა ამხ. ლეონოვმა და სწავლის ფრიადოსანმა ამხ. მარტინოვამ. სკოლამ მტკიცე კავშირი დაამყარა გაწვევის რაიონებთან.

შეიძლება და უნდა გამოვიყენოთ კიდევაც აგიტაციის ყოველგვარი ფორმები, რომლებიც, კარგ ორგანიზაციულ მომზადებასთან ერთად, უეჭველია, დადებითი შედეგით დაგვირგვინდება.

დიდი პასუხისმგებლობა ეკისრებათ გამწვევ კომისიებს. ზოგი მათგანის მუშობას წინათ სერიოზული ნაკლოვანებანი ჰქონდა,—წელს ეს ნაკლოვანებანი თავიდან უნდა ავიშოროთ. არავითარ შემთხვევაში არ უნდა განმეორდეს ისეთი შეცდომა, როგორიც ჩადენილი იყო კურსკის ოლქის ზოგიერთ რაიონში, სადაც გაწვეული იყვნენ საწარმოო სწავლებისათვის ჯინმრთელობის მიხედვით გამოუსადეგარი ჭაბუკები. სწორედ ასევე უნდა აღმოიფხვრას თვალსაჩინეველ ისეთი ფაქტები, როგორიც ყზილ-თეფეს რაიონში (უზბეკეთი) იყო, სადაც საფაბრიკო-საქარხნო სკოლებში გაწვეულ 11 კაცს მისცეს ცნობა 1928 წელს არიან დაბადებულნო, თუმცა ნამდვილად ისინი გაცილებით უფრო ახალგაზრდები იყვნენ.

გამწვევი კომისიების მუშაობის ხელმძღვანელობა დაკისრებული აქვთ პირადად მშრომელთა დეპუტატების საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომების თავმჯდომარეებს. არავითარი სახეირო რამ არ გამოვა, თუ ისინი მოიმიზეზებენ სხვა საქმეების გამო მოუცლელობას და კომისიებში მეორეხარისხოვან მუშაკებს გაგზავნიან. არასწორად იქცევიან აგრეთვე ის ადგილობრივი ორგანიზაციები, რომლებიც ახლა, გაჩაღებული გაწვევის პერიოდში, მუშახელის აღრიცხვისა და განაწილების ადგილობრივი ბიუროების ხელმძღვანელებს მათს უშუალო მოვალეობას აშორებენ. გაწვევა მოკლე ვადაში ტარდება, იგი მოითხოვს იმ ხელმძღვანელთა უაღრესად აქტიურ მონაწილეობას, რომელთაც სახელმწიფომ მუშაობის ეს პასუხსაგები უბანი მიანდო.

ჩვენი ქვეყნ შრომითი რეზერვებისათვის მზრუნველობა დიდი სახელმწიფო მნიშვნელობის საქმეა.

„...ჩვენ ვამზადებთ ახალგაზრდა მუშების ახალ კადრებს. მათზე დამოკიდებული იქნება საბჭოთა წყობილების განმტკიცება. და ამხანაგი სტალინი არაერთგზის ხაზგასმით აღნიშნავდა, რომ ჩვენ გულგრილად ვერ მოვეპყრობით ამას, თუ როგორ ხდება ჩვენში მუშათა კლასის შევსება. ჩვენ გვსურს, რომ იქ შედიოდეს ჩვენი მოსახლეობის საუკეთესო ნაწილი, რომ მუშათა კლასი საბჭოთა საზოგადოებაში მაღლა იდგეს პოლიტიკურად და ინტელექტუალურად“. (მ. კალინინი).

შრომითი რეზერვების მთავარი სამმართველო, სახალხო კომისრები, აგრეთვე იმ საწარმოთა ხელმძღვანელები, რომელთა ბაზაზედაც არიან მოწყობილნი სახელოსნო, რკინიგზის სასწავლებლები და საფაბრიკო-საქარხნო სკოლები, ვალდებული არიან თავის დროზე დაამთავრონ სასწავლებლების ბინების და საერთო საცხოვრებლების რემონტი და მთლიანად უზრუნველყონ ისინი ინვენტარით. დაწყებული ქალაქითა და კოლმეურნეობით, საბოლოოდ ახალგაზრდობა გაწვეულია, და გათავებული სკოლით, სადაც მან უნდა ისწავლოს, ახალგაზრდობა ჩაყენებულ უნდა იქნას ისეთ პირობებში, რომლებიც საშუალებას მისცემენ მას დაუყოვნებლივ დაიწყოს ნორმალური მეცადინეობა. ისე სანიმუშოდ უნდა მოვამზადოთ მოსწავლეთა მოსვლისათვის, რომ მათ შეეძლოთ ერთბაშად შეუდგნენ სწავლას, კარგად დაამთავრონ იგი და გაამართლონ ის იმედი, რომელსაც სამშობლო მათზე ამყარებს.

10 სექტემბრის „პრავდის“ მოწინავე

სამამულო ომის სახელოვანი მეომარნი

საბჭოთა კავშირის გმირი შაღვა ჩილაჩავა

დაიწყო ომი.

დიდი მარშლის ცეცხლოვანმა მოწოდებამ საომრად შეჰყარა მამულიშვილნი. ხელხლიანნი და აბჯარასხმულნი აღიმართნენ ისინი სამშობლოს საშველად. სტალინის დროშის

ფრიალით და ოქახიანი ლაშქრულის გუგუნით გადაეშვნენ მტერთან ბრძოლაში.

მათს შორის იყო ქართველი მეომარი შალვა ილიას-ძე ჩილაჩავაც.

გზა კავკასიონის მთებიდან ვარშავის კარებამდე ლომკაცური ბრძოლით გაიარა მან.

ჯერ იყო და მყინვარქედთან ეომა მოსისხლეს, ვინ იცის, რამდენი გულშხამიანი მორიელი—გერმანელი ფრიცი მიაქეცა ქაჯასიონის მთებს! დიდი ქართველის—**ლავრენტი ბერიას** წინამძღოლობით დარაზმული ლაშქრის მონაწილე შალვა ჩილაჩავა მხნედ იცავდა საყვარელ მამულს, მის სახელგრწყინვალებას, მის კლდეკართ: დარუბანდსა და დარიალს...

ახლა კი ჩვენს გამარჯვებულ ჯარისკაცებთან ერთად დაუცხრომლად და ნაბიჯშეუჩერებლივ მისდევს მტერს დასავლეთისაკენ, მტრის ბუნაგისაკენ.

ჩილაჩავას ასეულს გმირთა ასეულს უწოდებენ ამხანაგები. მისი მებრძოლნი თაკს ეელვებიან საყვარელ მეთაურს, რადგან თავისა ნიჭი და მკლავის ძალა არა ერთგზის დაანახვა მათ კაპიტანმა.

ქართველი ხალხის სასიქადულო შვილი, ან, როგორც მას ეძახიან—ქართველი არწივი, დღენიადაგ ბრძოლის წინანახზეა. მან არ იცის რა არის შიში და შეკრთომა; მან არ იცის რა არის დაღლა და მუხლმოდუნება; მან არ იცის რა არის უკანდახევა მტერთან ბრძოლაში.

— წინ, მხოლოდ წინ!—ასეთია კაპიტან შალვა ჩილაჩავას სათქმელი დევიზი.

ქალაქ ბარანოვიჩის განთავისუფლებისათვის ბრძოლაში უმაგალითო ვაჟკაცობა გამოიჩინა ქართველმა მეთაურმა. მისი ასეული ერთ-ერთი პირველი იყო იმათგან, ვინც მხსნელად მოევლინა საბჭოთა ქალაქს. ბარანოვიჩის განთავისუფლების რჩეულ გმირკაცს შალვა ჩილაჩავას სხვა გმირებთან ერთად მადლობა გამოუცხადა უმაღლესმა მთავარსარდალმა **საბჭოთა კავშირის მარშალმა დიდმა სტალინმა.**

ბობრუისკის მიმართულებითაც მოუხდა ბრძოლა ჩილაჩავას. გერმანელების ძლიერ გამაგრებული ბეჭები ნაცარტუტად აქცია ჩვენი ჯარისკაცების იერიშის ძალამ. აქაც ივაჟკაცა ჩილაჩავამ, აქაც გაიმარჯვეს და შემუსრეს მტერი მისმა გულფოლადიანმა მეომრებმა. და აქვე დაიმსახურა დიდი ბელადის მეორე მადლობა ზუგდიდელმა კაპიტანმა.

საფრონტო გაზეთებმა მრავალგზის შეაქეს შალვა ჩილაჩავას მამულიშვილობა, მისი სიმტკიცე და შემართება დუშმანთან ომში. სამხედრო გაზეთი „სამშობლოსათვის“ აგვიწერს მრავალ საბრძოლო ეპიზოდს, სადაც მოთხრობილია მისი ლეგენდარული გმირობის ამბავი.

მადლიერმა მამულმა ღირსეულად შეაფასა სახელოვანი შვილის რაინდული და თავდადებული ბრძოლა. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით შალვა ილიას-ძე ჩილაჩავას მიენიჭა საბჭოთა კავშირის გმირის წოდება და გადაეცა **ლენინის** ორდენი და მედალი „ოქროს ვარსკვლავი“.

შალვა ჩილაჩავა დაიბადა 1911 წელს ქალაქ ზუგდიდში. იქვე დაამთავრა საშუალო სასწავლებელი. მუშაობდა კომკავშირის რაიონულ კომიტეტში, შემდეგ პარტიის რაიონული კომიტეტის ინსტრუქტორად, ბოლოს კი ნარაზენის ჩაის საბჭოთა მეურნეობის დირექტორის მოადგილედ და პარტბიუროს მდივნად. იგი ყველგან ხასიათდება, როგორც ნიჭიერი და ენერგიული მუშაკი. სპეტაკი და თავდადებული ბოლშევიკი.

* * *

...გუგუნებენ მოსკოვის სალუტები გამარჯვებულ გმირთა პატივსაცემად.

შეუჩერებლივ მიდიან წინ საბჭოთა მოლაშქრეები, მიერეკებიან მტერს დასავლეთისაკენ, უფსკრულისაკენ.

შეუჩერებლივ მიდის წინ ნაწილი, რომელსაც მეთაურობს საბჭოთა კავშირის გმირი, კაპიტანი შალვა ჩილაჩავა.

გზა გამარჯვებისა, გმირო კაპიტანო!

ხუტა ბერულავა

მიჯინგი გმირის სამშობლო ქალაქში

ზუგდიდი, („კომუნისტის“ საკუთარი კორესპონდენტისაგან). შალვა ილიას-ძე ჩილაჩავასათვის საბჭოთა კავშირის გმირის წოდების მინიჭებასთან დაკავშირებით ქალაქ ზუგდიდში შესდგა მიტინგი, რომელსაც დიდძალი ხალხი დასესწრო.

მიტინგი შესავალი სიტყვით გახსნა ქალაქის საბჭოს თავმჯდომარემ ამხ. ვ. ბეჭვაიამ.

საბჭოთა კავშირის გმირის კაპიტან შალვა ჩილაჩავას სახელოვანი საბრძოლო გზა დასწრეთ გააცნო საქართველოს კ. პ. (ბ) ზუგდიდის რაიკომის მდივანმა ამხ. ს. ებრალიძემ. მან მიუღოცა დამსწრეთ თანამემამულის დაჯილდოება და მოუწოდა კიდევ უფრო მეტი დახმარება გაუწიონ მშობლიურ წითელ არმიას, რომელიც გამარჯვებას გამარჯვებაზე აღწევს.

დამსწრენი გულთბილად შეხვდნენ გმირის დედას მაშო ჩილაჩავას, რომელმაც მგრძნობიარე და ამაღლებული სიტყვა წარმოთქვა.

მიტინგზე სიტყვებით გამოვიდნენ. საქართველოს ალკკ ზუგდიდის რაიკომის მდივანი ამხ. ტ. გრიგოლია, გმირის მასწავლებელი შალვა დადიანი, სამამულო ომის მონაწილე ორდენსანი კაპიტანი შ. ხოროვა გმირისადმი მიძღვნილი საკუთარი ლექსი წაიკითხა ამხ. ალ. თირქიამ.

გვარდიის უფროსმა ლეიტენანტმა დანელიამ მიიღო მედალი „მოსკოვის დაცვისათვის“

(მოსკოვი, „კომუნისტის“ საკუთარი კორესპონდენტისაგან)

მოქმედი არმიიდან იტყობინებიან: აღმოსავლეთ პრუსიის საზღვართან ნაწილის მებრძოლებს, სერჟანტებსა და ოფიცრებს გადაეცათ მედალი „მოსკოვის დაცვისათვის“. პირველმა მედალი მიიღო გვარდიის უფროსმა ლეიტენანტმა დანელიამ. 1941 წელს კომკავშირელი დანელია იყო სერჟანტი-მზვერავი. მოსკოვთან გერმანელ დამპყრობთა წინააღმდეგ ბრძოლებში გულადობისა და მამაცობის გამოჩენისათვის იგი დაჯილდოებულია წითელი დროშის ორდენით. ამჟამად უფროსი ლეიტენანტი დანელია მზვერავთა ოცეულის მეთაურია. წითელი დროშის ორდენის გარდა, მის მკერდს ამშვენებს სამამულო ომის I ხარისხის ორი ორდენი და წითელი ვარსკვლავის ორდენი. ბელორუსიისა და ლიტვისათვის ბრძოლებში დანელია რამდენჯერმე იყო დაჭრილი, მაგრამ არც ერთხელ ბრძოლის ველი არ მიუტოვებია.

მზერზე უეცარი და გაგელვული დარტყმის ოსტატი

გიორგი ლაზარეს-ძე ჯინჭველაძე, 23 წლის ახალგაზრდა, გვარდიელი ოფიცერია, მრავალ ბრძოლაგადახდილი, მამაცი და უნარიანი მეთაური.

გვარდიელის სპატიო სახელწოდება მან ჯერ კიდევ სევასტოპოლის დაცვის გმირულ ბრძოლებში მოიპოვა. ახალგაზრდა ოფიცერი მაშინ მეზღვაურთა რაზმს მეთაურობდა და მტაცებლად მტრის ზურგში მოქმედებდა. აქ მიიღო მან ნამდვილი საბრძოლო წრთობა, რომელსაც შემდეგ სრულყოფდა და დიდებულად ფიქნებდა ყუბანსა და ტამანში ბრძოლებისას.

გვარდიელები ამბ. ჯინჭველაძეს მტრის ზურგში გაბედული გამოხდომის, მტერზე უეცარი გადამწყვეტი დარტყმის ოსტატს ეძახიან.

ყუბანში ერთ-ერთი სიმაღლის აღებისათვის ბრძოლა რამდენიმე დღეს მიმდინარეობდა. მტერი გააფთრებით იცავდა სიმაღლეს, რომელსაც დიდი თავდაცვითი მნიშვნელობა ჰქონდა. საბრძოლამ ჯინჭველაძეს დაავალა სიმაღლის დაკავება. მეთაურმა დამუშავა გეგმა, შეისწავლა მტრის განლაგება და ცეცხლითა საშუალებები და დილაადრიან მოქმედებას შეუდგა. ასეული მან რამდენიმე ჯგუფად გაჰყო: ექვსმა მეავტომატემ ცეცხლი გახსნა ფრონტიდან და ამით მიიზიდა მტრის ძალები. დანარჩენი მებრძოლები ზურგში შეიჭრნენ და არევ-დარევა შეიტანეს მოწინააღმდეგის რიგებში. ჯინჭველაძის მებრძოლებმა 64 გერმანელი ჯარისკაცი ტყვედ ჩაიგდეს, რამდენიმე ათეული გაეტეტეს და სიმაღლე დაიკავეს.

ასეთივე გაბედული გამოხდომა მტრის ზურგში რამდენჯერმე მოაწყო ჯინჭველაძემ ქერჩის ნახევარკუნძულზე. ერთ დასახლებულ პუნქტთან ბრძოლის დროს მან სამი მებრძოლი დაზვერვაზე გაგზავნა და დაავალა აღმოეჩინათ მტრის რომელიმე მნიშვნელოვანი ობიექტი. მებრძოლები ღამით შეიპარნენ მოწინააღმდეგის ზურგში, შენობის ნანგრევებში ჩასაფრდნენ და თვალს ადევნებდნენ მტრის მოძრაობას. მალე მათ გამოარკვიეს, რომ იქვე ახლოს შენობაში მოთავსებული იყო ტანსაცმლის დიდი საწყობი, რომელსაც ძლიერი დაცვა ჰქონდა. მზვერავები დაბრუნდნენ და მოახსენეს ეს მეთაურს. დილით ადრე გვარდიის უფროსი ლეიტენანტი ჯინჭველაძე 40 მებრძოლით წავიდა საწყობის მოსასაპობად. საწყობთან მისასვლელ გზაზე ორი გუშაგი იდგა. მებრძოლები მოულოდნელად დაესხნენ მათ თავს და ხანჯლებით მოსპეს. ახლა ჯინჭველაძემ ხოხვით და მოკლე ნახტომებით წაიყვანა მებრძოლები. როგორც კი მიუახლოვდა საწყობს 200 მეტრზე, მეთაურმა მებრძოლები იერიშზე წაიყვანა. გერმანელებს თავზარი დასცა მოულოდნელმა თავდასხმამ და პანიკით მოცულნი გაიქცა-გამოიქცნენ. გვარდიელებმა გააღეს საწყობები, ნავთი გადაასხეს შენობას და მთელ ქონებას ცეცხლი წაუკიდეს.

სანამ გერმანელები გონს მოვიდოდნენ და რაიმე ზომებს მიიღებდნენ, გვარდიელები უკვე თავიანთ ნაწილში იყვნენ.

თავისი გონიერი რისკით ქართველი გვარდიელი ყოველთვის გამარჯვებული გამოდის.

მაიორი ვ. ესაიაშვილი

პარტიზანი მიხეილ გეწაძე

მაშინ იგი სულ ოცი წლის ჭაბუკი იყო. ორი წლის განმავლობაში იარაღით იცავდა საბჭოთა საზღვრებს. მტრის პირველი დარტყმა მანაც მიიღო. სამ თვეს უმკლავდებოდა მისი ნაწილი მოზღვავებული მტრის ურდოებს, მაგრამ ბოლოს იგი თავისიანებს მოსწყდა და მცირე ჯგუფით გარემოცვაში მოჰყვა.

აქედან იწყება მიხეილ გეწაძის სახელოვანი გზა.

მებრძოლები ცდილობდნენ გაჭრილიყვნენ თავისიანებისაკენ. ჯგუფი თანდათან მცირდებოდა. ბოლოს მიხეილ გეწაძე მარტო დარჩა. მან თავი დაიფარა მტრის ბრჭყალებს და დიდი ხნის ტყე-ტყე ხეტიალის შემდეგ ქალაქ კოველის მახლობლად, სოფელ კუკლიშში, ერთი რუსის ოჯახში მივიდა.

აქ ის ეძებდა ამხანაგებს. მალე მან ქართველი ჯარისკაცი ვასო ჯანგველაძე ნახა. მასაც ისეთივე ბედი სწეოდა, როგორც მისას. ვეგმები დაიწყეს, კიდევ ორი ამხანაგი იშოვნეს და ბრძოლის დაწყება გადასწყვიტეს.

ვასო ჯანგველაძეს ცოტა ფული აღმოაჩნდა. ამ ფულით ბლომად არაყი იყიდეს, გერმანელი პოლიციელები დაჰპატიჟეს, გამოათვრეს, მერმე იარაღი აჰყარეს და ტყეს მიაშურეს.

ოთხი ვაჟკაცი—ორი ქართველი, ერთი რუსი და ერთი უკრაინელი—უღრან ტყეში, უცნობ ადგილას, ერთი მიზნით და მტკიცე გადაწყვეტილებით გამსჭვალული, საქმეს შეუდგა. ჯერ „წვრილ საქმეებზე“ დადიოდნენ. „წვრილმანს“ ეძახდნენ, როდესაც რომელიმე ადგილობრივი მნიშვნელობის გზას შეჰკრავდნენ და ფრონტისაკენ მიმავალ პატარა, სამი-ოთხი მანქანის ან საზიდრისაგან შემდგარ აღალს თავს დაესხმოდნენ, გამყოლთ დახოცავდნენ, იარაღს აჰყრიდნენ, ბოლო მანქანებს ან საზიდრებს ცეცხლს მისცემდნენ, ასეთ „წვრილმანებს“ მალე თავი მიანებეს. ჯგუფი თანდათან იზრდებოდა, დიდ ჯგუფს დიდი საქმეები მოეთხოვებოდა.

მალე 22 კაცმა მოიყარა თავი. საჭირო გახდა თავისიანებთან დაკავშირება. მაგრამ ეს არც ისე ადვილი იყო, მხოლოდ რადიოპარატი უშველდა საქმეს. გადაწყდა ხელთ ეგდოთ აპარატი. მალე კარგი შემთხვევაც მიეცათ. შეიტყეს, რომ ფრონტისაკენ გერმანელ მეკავშირეთა ერთი მცირე ნაწილი მიდიოდა. მართალია, იგი რამდენჯერმე აღემატებოდა პარტიზანთა ჯგუფს, მაგრამ საბჭოთა ვაჟკაცებს თავის იმედი ჰქონდათ, თანაც მტკიცე იყო მათი გადაწყვეტილება—რადაც უნდა დასჯდომოდათ ხელთ ეგდოთ რადიოპარატი.

ოპერაციამ ბრწყინვალედ ჩაიარა, მხოლოდ რამდენიმე გერმანელმა შესძლო გაჰქცეოდა მამაცი ვაჟკაცების ტყვიას. გამარჯვებული პარტიზანები დიდი ნადავლით დაბრუნდნენ ტყეში. ნადავლში რადიოპარატიც იყო.

ცოტა ხნის შემდეგ პარტიზანთა ამ ჯგუფს მეორე ჯგუფი შეუერთდა. ძალამ ახლა იმდენად იმატა, რომ უკვე მტრის მატარებლების გადაჩეხვის ოპერაციებს მიჰყვეს ხელი. მთელ ოლქს მოედო რაზმის მამაცობის სახელი. მალე მასობრივად იწყო დენა რაზმისაკენ გერმანელი მხეცებისაგან შეურაცხყოფილმა და განაწამებმა მოსახლეობამ. რაზმში ათასობამდე კაცმა მოიყარა თავი. საჭირო შეიქნა რაზმის დაყოფა ჯგუფებად. ერთი ჯგუფი მიხეილსაც ჩაბარეს.

ამის შემდეგ მიხეილი და მისი ამხანაგები უმთავრესად რკინიგზის ლიანდაგს უთვალთვალებდნენ. ერთხელ დაკავლებიდან ბრუნდებოდნენ. მატარებელი გადასჩეხეს. ოპერაციამ კარგად ჩაიარა. პარტიზანები უვნებლად გადარჩნენ. გზათ სოფელში ერთი რაზმელისას შეიარეს. შინ ამხანაგის მამა, მოხუცი გლეხი დახვდათ. სიხარულით მიიღო. მადიანად ისაუზმეს. ის-ის იყო დასასვენებლად მომზადნენ, რომ მასპინძელი შემოვიდა და მოსულები გააფრთხილა—სოფელში გერმანელების აღალი მოვიდა, ორმოცამდე ავტომანქანა იქნება, ფრონტისაკენ მიდიანო.

ქოხ სოფლის განაპირას იდგა, სწორედ იმ გზაზე, სადაც გერმანელების აღალს უნდა გაევლო. ტყვიამფრქვევი ქოხის ფანჯარაში მოაწყეს. მეორე ფანჯარაში და კარებში ავტომატებით ჩასაფრდნენ.

წინ მსუბუქი ავტომანქანა მოდიოდა. ტყვიამფრქვევი აკაკანდა. ერთი მსუბუქი და სამი სატვირთო მანქანა ტყვიებით დაცხრილეს. დანარჩენმა მანქანებმა უკან მოჰკურცხლეს. ამ ბრძოლაში პარტიზანებმა ექვსი გერმანელი ოფიცერი და რამდენიმე ჯარისკაცი ჩაადაღლეს, მოკლულთა იარაღი კი თან წამოიღეს.

გერმანელთა სადამსჯელო რაზმებით გაივსო ის მხარე. დღე არ გავიდოდა, პარტიზანები სადმე არ წასწყდომოდნენ ჰიტლერელებს და მუსრი არ გაევლოთ მათთვის. სოფელი, სადაც რაზმი დაბანაკდა, ულრან ტყეში იყო, გზიდან 6 კილომეტრზე. პარტიზანები იქ ახალი მისულები იყვნენ და გერმანელთა სადამსჯელო რაზმმა ჯერ არ იცოდა მათი ადგილსამყოფელი. მაგრამ მტერმა მალე მიაგნო კვალს და დამსჯელი რაზმი გამოგზავნა. ეს იმ დროს მოხდა, როდესაც პარტიზანთა ნაწილი დაკავლებაზე იყო წასული. ფაშისტები სოფლის ნაპირზე მივიდნენ და საბრძოლველად იწყეს მზადება. ამ დროს დაკავლებაზე წასული პარტიზანები სოფელს უახლოვდებოდნენ. აქ დარჩენილებმა სასწრაფოდ აცნობეს მათ საქმის ვითარება, თვითონ კი გადმოწყვიტეს სოფელში ყოფნა არაფრით გაეფანტინებინათ, ის-ის იყო გერმანელების რაზმი სოფელს უნდა შესეოდა, როდესაც პარტიზანები ზურგიდან დაესხნენ მათ თავს და სრ

აუტეხეს. გერმანელები წინააღმდეგობას ს[illegible]ლ დან მოელოდნენ, და როდესაც ნახეს, [illegible] რაზმი სოფლის გარეთ იყო, შეუბრუნდნენ. [illegible] ფელში დარჩენილებმა დრო იხელთეს და მ[illegible] ზურგიდან დაარტყეს. ამ ბრძოლაში 110 გერ[illegible]ნელი ჩაადაღლეს, ხოლო 15 კაცი კი ტ[illegible] წამოიყვანეს.

საბჭოთა ხალხის პარტიზანული ბრძ[illegible] მასშუბებებზე და მნიშვნელობაზე რომ წარმ[illegible]გენა ვიქონიოთ, საკმაოა ისიც, რომ ამ ბრ[illegible]ლის მხოლოდ ერთმა მონაწილემ, სახალ[illegible] შურისმგებელმა მიხეილ გეწაძემ პირ[illegible]ლიანდაგიდან გადასჩეხა მტრის 10 მატარ[illegible]ლი, 10 ორთქლმავალი, 28 ვაგონი ჯარ[illegible]ცებიანად, 29 ვაგონი ტექნიკიანად, სარკ[illegible] გზო მასალით დატვირთული 7 ვაგონი, აიფ[illegible]ქა გერმანელთა 2 ტანკი, 2 ავტომანქ[illegible] ორი სარკინიგზო ხიდი მდინარე სლ[illegible] 2 ტრაქტორი, დახოცა 32 გერმანელი ჯ[illegible]რისკაცი და ოფიცერი, პოლიციის 12 ბ[illegible]ხელე, ტყვედ წამოიყვანა 2 გერმ[illegible]ლი ოფიცერი და პირისპირ შეტაკ[illegible]ში დასჩრა 6. არც ერთი ოპერაციი[illegible] იგი ხელცარიელი არ დაბრუნებულა. პარ[illegible]ზანული ბრძოლის განმავლობაში მტერს წ[illegible]თვა 450 მსხვილფეხა საქონელი, 3 ავტომ[illegible] ერთი რევოლვერი, 2 ტყვიამფრქვევი, 1 ტ[illegible] საწინააღმდეგო თოფი, 16 შაშხანა და 4 ავ[illegible]მანქანა.

ძლევამოსილად მიიწევდა წინ გმირი წ[illegible]ლი არმია. საბჭოთა ქვემეხების გუგუნი უ[illegible] იმ ტყეებამდე აღწევდა, სადაც მიხეილ გ[illegible]ძის პარტიზანთა ჯგუფი მოქმედებდა. ა[illegible] საჭირო იყო წითელ არმიასთან მტკიცე კ[illegible]შირი. ახლა მათ სხვა ამოცანა ჰქონდათ. ა[illegible]ისინი ხელს უშლიდნენ მტრის მიერ ხიდ[illegible]დანგრევას, ებრძოდნენ გზების ამოფეთ[illegible]ლებას. პარტიზანები იბრძოდნენ იმისათვ[illegible] რომ ის, რაც წითელი არმიისათვის საჭ[illegible] იყო, შეენარჩუნებინათ, არ მიეცათ დამარცხ[illegible]ბული მტრისათვის სახალხო დოვლათის გ[illegible]ნადგურების შესაძლებლობა.

როდესაც მანძილი წითელ არმიასა და პარ[illegible]ტიზანთა მოქმედების რაიონს შორის საკ[illegible]ძნობლად შემცირდა, სახალხო შურისმგებელ[illegible]მა ზურგიდან დასცხეს მტერს, ბრძოლ[illegible] გაიკაფეს გზა წითელი არმიისაკენ. 1944 წ[illegible] 2 მაისს პარტიზანთა ის ჯგუფი, რომელ[illegible] მიხეილ გეწაძე მეთაურობდა, წითელი არმ[illegible] შემტევ ნაწილებს შეუერთდა. დადგა დ[illegible]ხნის ნანატრი ჟამი, სიხარულის შ[illegible] დღეები.

* * *

მაიაკოვსკის რაიონის სოფელ მეორე ოზ[illegible]ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობ[illegible] კანტორაში შეეხვედით ჩვენ მიხეილ გეწ[illegible] დაკავკაცებული, ბრძოლაგადახდილი ქართ[illegible]ლი მეომარი კოლმეურნეობის თავმჯდომარ[illegible]ცაბურია გძელიძეს სწვევდა. ოჯდა თავისა[illegible]ნებში, მკერდს სამამულო ომის პირველი ხ[illegible]რისხის ორდენი და მედალი „სამამულო ომ[illegible] პარტიზანს“ უმშვენებდა.

სიამაყის გრძნობით აღვსილი უამბობდა მ[illegible]ხეილ გეწაძე მეზობლებს თავისი ამხანაგებ[illegible] სახალხო შურისმგებლების დიდ ვაჟკაც[illegible] საქმეებზე. თავის თავზე მას ერთი სიტყვ[illegible] არ უთქვამს. ის, რაზეც ზემოთ ვილაპარაკ[illegible] იმ საბუთებში ამოვიკითხეთ, რომლებიც მ[illegible]ხეილს პარტიზანული ნაწილიდან აქვს მიცე[illegible]ული.

ამრავლოს ასეთი ვაჟკაცები ჩვენს მადლ[illegible] მიწა-წყალზე.

ვ. ბურჯანაძე.

მეზღვაური არდევან მოწონელიძე

სამამულო ომმა ა. მოწონელიძის გემ „სევასტოპოლზე“ მოუსწრო. ამ დროს იგი უკვე მტკიცედ იყო შესული მეზღვ

კალინინის სახელობის ქარხნის (თბილისი) სტახანოველი ი. ოტიაშვილი (ცენტრში) გეგმებს სიხტემატურად 550 პროცენტით ასრულებს და ამზადებს ჯოხაძესა და გ. ბაკუზოვს. ორ ახალმოსულს—კატო ფოტო რ. აკოფოვისა.

მაიაკოვსკის რაიონის სოფელ პირველი ობჩის დიმიტროვის სახელობის კოლმეურნეობის მოწინავე მევენახე ლავრენტი აბულაძე ვენახში. ფოტო რ. აკოფოვისა

პარტიული ცხოვრება

მოწინავე ცვლის აგიტატორი

ლენინის სახელობის შახტის მესამე საექსპლოატაციო უბნის ცვლამ, რომელსაც კ. მაწკეპლაძე ხელმძღვანელობს, ივნისში ქვანახშირის ამოღების გეგმა 160,5 პროცენტით შეასრულა, ტრესტის საუკეთესო ცვლის სახელწოდება მოიპოვა და დაჯილდოებულ იქნა ტყიბულქვანახშირის ტრესტისა და მეშახტეთა პროფრაიკომის გარდამავალი დროშით. გარდამავალი წითელი დროშის მიღებით აღფრთოვანებულმა მეშახტეებმა ივლისშიც მეომრის თავდადებით იმუშავეს და გეგმა 57 პროცენტის გადაჭარბებით შეასრულეს. ისინი არც აგვისტოში თმობენ მოწინავეობას.

ცვლის ამ წარმატებაში ღვაწლი მიუძღვის აგიტატორ ალ. დარსაძეს.

როგორ ატარებს აგიტაციას ამხ. დარსაძე?

ამხ. დარსაძე ყოველთვის ბეჯითად ემზადება საუბრის ჩასატარებლად. როცა გაზეთის ახალ ნომერს მიიღებს, გულდასმით წაიკითხავს მას და შეარჩევს საუბრის თემას. შემდეგ ესაუბრება ცვლის უფროსს, ტყობილობს თუ რა უშლის ხელს ცვლის ნორმალურ მუშაობას; მიღებულ ცნობებს იგი აყენებს საუბრის დროს. მეშახტეები აგიტატორს დიდი ინტერესით უსმენენ. საუბარი ხშირად ნაკლოვანებათა აღმოფხვრის ღონისძიებათა დასახვით მთავრდება. შემდეგ აგიტატორი ეხმარება მუშებს ამ ღონისძიებათა განხორციელებაში.

მტვირთავ ამხ. მ. ცეცხლაძეს არ ჰქონდა შახტში მუშაობის გამოცდილება, არავინ ზრუნავდა მისი სამუშაო ადგილის წინასწარ მოწყობისათვის. ამიტომ იგი მეტხანს უსაქმოდ იდგა და ნორმას ვერ ასრულებდა.

— ცეცხლაძეს უნდა დავეხმაროთ, იგი ახალგაზრდა მტვირთავია და ყველა ჩვენთაგანისათვის სირცხვილია, რომ გეგმას ვერ ასრულებს—სთქვა საუბრის დროს აგიტატორმა ამხ. დარსაძემ. აგიტატორს მხარი დაუჭირეს მუშებმა.

პირველად თვით ამხ. დარსაძე დაეხმარა ხალგაზრდა მუშას. მან აუხსნა შახტში მუშაობის საკუთარი გამოცდილება, უჩვენა პრაქტიკულად, თუ როგორ უნდა მოამზადოს წინასწარ სამუშაო ადგილი. აგიტატორი რომ თავის სამუშაოზე დადგა, ახლა ცეცხლაძეს მეზობლად მომუშავე მეშახტეები დაეხმარნენ. აგიტატორმა მეორე დღესაც ინახულა ახალგაზრდა მეშახტე, მიუთითა მას ნაკლოვანებებზე. აგიტატორის დახმარებით ცეცხლაძემ მუშაობა გააუმჯობესა და ახლა იგი სტახანოველი მტვირთავია.

ასეთი მაგალითები ბევრია.

აგვისტოს პირველ რიცხვებში ცვლა გეგმის შესრულებაში ჩამორჩა. აგიტატორმა საფუძვლიანად შეისწავლა ჩამორჩენის მიზეზები და მეორე დღეს გამართა საუბარი. აზრთა გაცვლა-გამოცვლაში ცხოველი მონაწილეობა მიიღეს მეშახტეებმა. მტვირთავმა ამხ. ვ. ქასრაშვილმა სთქვა, რომ სანგრევში 3 ვაგონის ნაცვლად 4 ვაგონია საჭირო. ეს წინადადება განახორციელეს და ცვლაში ერთბაშად ამატა ქვანახშირის ამოღებამ.

აგიტატორი მეშახტეებთან ხშირად საუბრობს იმაზე, თუ როგორ მუშაობენ ცვლის ოწინავე ადამიანები: შ. აფხაიძე, ე. ჩხიკვაძე და სხვები.

ამხ. დარსაძე საქმითაც მაგალითს უჩვენებს მუშებს. იგი საუკეთესო მნგრეველია მთელ ცვლაში და 150-200 პროცენტით ასრულებს ყოველდღიურ დავალებებს.

ამხ. ა. დარსაძე სისტემატურად მუშაობს თავის იდეურ-პოლიტიკური დონის ამაღლებისათვის. იგი ყოველ დილით ისმენს რადიოს, სწავლობს ბოლშევიკური პარტიის გმირულ ისტორიას და სისტემატურად ესწრება სემინარებს, ლექციებსა და კონსულტაციებს. ამხ. დარსაძეს გამოწერილი აქვს გაზეთები „კომუნისტი“ და „ტყიბულის მაღაროელი“ და „აგიტატორის ბლოკნოტი“.

დ. ქათამაძე

საქართველოს კ. პ. (ბ) რაიკომების პლენუმები

ხაშური („კომუნისტის“ საკ. კორ.). საქართველოს კ. პ. (ბ) ხაშურის რაიკომის მე-7 პლენუმმა განიხილა საკითხი რაიონის კოლმეურნეობებში შრომის ორგანიზაციის მდგომარეობის შესახებ.

პლენუმზე გამოირკვა, რომ სოფელ გომის 21 იანვრის სახელობის, სოფელ ლუბრუმის ვორშილოვის სახელობისა და სოფელ დიდი თხილნარის ტელმანის სახელობის კოლმეურნეობებში სისტემატურად ირღვევა ინდივიდუალური სანარდო სისტემა, გამწევ ძალას არადანიშნულებისამებრ იყენებენ, კოლმეურნეებს არ აცნობენ გამომუშავების ნორმებს და სხვ.

პლენუმზე მეორე საკითხად მოსმენილ იქნა მოხსენება ხაშურის რაიონის სამრეწველო კომბინატის მუშაობის შესახებ. აღინიშნა, რომ ხე-ტყის სახერხი, კირისა და ლიმონათის ქარხნები გეგმებს ვერ ასრულებენ, ამ საწარმოებისადმი ხელმძღვანელობა სუსტია.

პლენუმმა მოსმენილ საკითხებზე მიიღო სათანადო დადგენილებანი.

ამბროლაური („კომუნისტის“ საკ. კორ.). თავდაცვითი კადრების მომზადების საკითხი განიხილა საქართველოს კ. პ. (ბ) ამბროლაურის რაიკომის მორიგმა პლენუმმა.

მოხსენებიდან და კამათში გამოსული ამხანაგების სიტყვებიდან გამოირკვა, რომ რაიონის თავდაცვა-ავიაქიმის ორგანიზაციების მუშაობაში ადგილი აქვს საგრძნობ ნაკლოვანებებს. მაგალითად, თავდაცვა-ავიაქიმის 136 პირველადი ორგანიზაციიდან მხოლოდ 18 ორგანიზაციაში არის ჩამოყალიბებული ქვეგანაყოფები, მაგრამ არც აქ დგას სათანადო სიმაღლეზე მებრძოლთა სამხედრო-პოლიტიკური სწავლება.

პლენუმმა მოისმინა აგრეთვე ანგარიში პარტიაში მიღების შესახებ.

ორივე საკითხზე პლენუმმა დასახა პრაქტიკული ღონისძიებანი.

მაიაკოვსკი („კომუნისტის“ საკ. კორ.).— მაიაკოვსკის რაიონის ბოლშევიკებმა სოციალისტური მეცხოველეობის განვითარების საქმეში საგრძნობ წარმატებებს მიაღწიეს. რაიონში ცხვრის, თხისა და ღორის სულადობის ზრდის 1944 წლის გეგმა გადაჭარბებით არის შესრულებული. წარმატებით მუშაობენ სოფელ ზეგნის XVII პარტყრილობის სახელობის, სოფელ დიმის ბერიას სახელობის, სოფელ წითელწყაროს ტელმანისა და ბუდიონის სახელობის კოლმეურნეობები. მაგრამ არიან ისეთი კოლმეურნეობები, რომლებიც ჯეროვან უურადღებას არ აქცევენ ნამატის შენარჩუნებას და ფერმებში საქონლის სულადობის ზრდის გეგმებს ასრულებენ კოლმეურნეებისაგან პირუტყვის შესყიდვის გზით, ზედაც დიდძალი შრომადღეები და ფული იხარჯება—აღინშნა საქართველოს კ. პ. (ბ) მაიაკოვსკის რაიკომის მდივანმა ამხ. პ. ნანიტაშვილმა რაიკომის მორიგ პლენუმზე, რომელმაც განიხილა საკითხი რაიონში მეცხოველეობის განვითარების შესახებ.

პლენუმმა მოისმინა აგრეთვე მოხსენება თავდაცვა-ავიაქიმის ორგანიზაციების მუშაობის შესახებ, განიხილა პარტიაში მიღების ხაზით ჩატარებული მუშაობის ანგარიში და სამივე საკითხზე მიიღო გადწყვეტილებანი.

ვანი („კომუნისტის“ საკ. კორ.). საქართველოს კ. პ. (ბ) ვანის რაიკომის მორიგმა პლენუმმა განიხილა ვანის რაიონის კოლმეურნეობებში 1944 წლის მოსავლის აღებისათვის მზადების მიმდინარეობის საკითხი.

პლენუმმა განიხილა აგრეთვე საკითხი რაიონში სპაროპაგანდა-საგაზეთაციო მუშაობის დაყენების შესახებ.

შესამე საკითხად განხილულ იქნა პარტიის რიგებში მიღების ხაზით ჩატარებული მუშაობის ანგარიში.

პლენუმმა საქართველოს კ. პ. (ბ) ვანის რაიკომის მდივანი კადრების დარგში ამხ. გ. სტურუა მოხსნა სამუშაოდან.

საქართველოს კ. პ. (ბ) ვანის რაიკომის მდივნად კადრების დარგში პლენუმმა აირჩია ამხ. ე. პ. სიგუა.

საოქტომბრო შეჯიბრება საქართველოს მრეწველობაში

მიჯინგები ავჭოქარხნელთა მოწოდების პასუხად

სტალინის სახელობის ქარხანა

მოსკოვის სტალინის სახელობის ლენინის ორდენსანი საავტომობილო ქარხნის მუშათა, ინჟინერ-ტექნიკოსთა და მოსამსახურეთა მიმართვა ერთსულოვნად მოიწონეს სტალინის სახელობის თბილისის ორთქლმავალ-ვაგონსაგრემონტო ქარხნის მუშებმა და ინჟინერ-ტექნიკურმა მუშაკებმა.

ქარხანაში შემდგარ მიტინგზე, რომელიც გახსნა საქარხნო კომიტეტის თავმჯდომარემ ამხ. ნ. ლოლაძემ, სიტყვებით გამოვიდნენ საამქროთა უფროსები, ბრიგადების ხელმძღვანელები და ქარხნის საუკეთესო ადამიანები. მოსკოველთა მიმართვას მათ ახალი კონკრეტული ვალდებულებებით უპასუხეს.

ორთქლმავალთა ამწყობი საამქროს ზეინკლმა ამხ. ე. ტუზოვმა, რომელიც დღიურ დავალებას ორჯერ აჭარბებს, იკისრა ამიერიდან ყოველდღიური დავალებები შეასრულოს 300 პროცენტით. სამკედლო საამქროს უფროსმა ამხ. ა. გოგიჩაშვილმა საამქროს კოლექტივის სახელით იკისრა გადაჭარბებით შეასრულოს დეტალების გამოშვების გეგმა ყველა კლასიფიკაციის მიხედვით.

მექანიკური საამქროს ხელმძღვანელმა ამხ. შ. თევზაძემ იკისრა სექტემბრისა და ოქტომბრის დავალება შეასრულოს ვადამდე 5 დღით ადრე.

მიტინგის მიერ ერთხმად მიღებულ რეზოლუციაში ჩამოთვლილია ქარხნის კოლექტივის მიერ ნაკისრი საოქტომბრო სოციალისტური ვალდებულებები:

დღემდე არსებული ჩამორჩენის დასაფარავად სექტემბერსა და ოქტომბერში გეგმის გადამეტებით გამოუშვან 4 ორთქლმავალი; შრომის ნაყოფიერება გაზარდონ 10 პროცენტით, პროდუქციის თვითღირებულება შეამცირონ 2 პროცენტით; შეამცირონ საწვავის ხარჯი 2 პროცენტით და ელექტროენერგიისა — 4 პროცენტით; ტექნიკური სწავლება დაამთავრებინონ 400 ახალმოსულს, სანმეურეო მოამზადონ ზამთრისათვის საამქროები და მუშათა საერთო საცხოვრებელები.

მეორე სამკერვალო ფაბრიკა

— მივცემთ ქვეყანას სექტემბერ-ოქტომბრის განმავლობაში 1.200.000 მანეთის ზეგეგმითს პროდუქციას!

— მესამე კვარტალში 10 პროცენტით გავზრდით შრომის ნაყოფიერებას!

— დავზოგავთ 5.000 კილოვატსაათ ელექტროენერგიას და 8.000 მეტრ ქსოვილს!

ასეთი ვალდებულებები იკისრეს თბილისის მეორე სამკერვალო ფაბრიკის მუშებმა და ინჟინერ-ტექნიკოსებმა სტალინის სახელობის მოსკოვის ლენინის ორდენსანი საავტომობილო ქარხნის მომართვის საპასუხოდ საოქტომბრო სოციალისტურ შეჯიბრებაში ჩაბმისას.

ამ ვალდებულებათა შესრულებისაკენ მოუწოდეს კოლექტივს ფაბრიკის მოწინავე ადამიანებმა ამხ. ვ. ბელთაძემ, ვ. ჯორქიამ, ა. რუსაძემ, ე. ზუბრიევამ, ალ. ბერძენიშვილმა, ვ. ბეზონოვმა და სხვ.

მკერავების მიტინგი მაღალი პოლიტიკური აქტივობისა და ზეიმობის ატმოსფეროში ახალი აზვირთების ნიშნით ჩატარდა. ამ დღესვე ფაბრიკის მოწინავე სტახანოველებმა მარო ბოჟორიშვილმა, ვერა სხირტლაძემ, ა. ტიმოფეევამ, ე. ზუბრიევამ, თამარ ლომაშვილმა და სხვ. 290-350 პროცენტით შეასრულეს დღიური საწარმოო დავალებები.

ქუთაისი

ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲘ (ტელეფონით „კომუნისტის“ საკ. კორესპონდენტისაგან). ქუთაისის საწარმოების მუშათა კოლექტივები ფართოდ ეხმაურებიან სტალინის სახელობის მოსკოვის ლენინის ორდენსანი საავტომობილო ქარხნის კოლექტივის მომართვას საოქტომბრო სოციალისტური შეჯიბრების გაშლის შესახებ.

კირვის სახელობის სამკერვალო ფაბრიკის მუშათა, ინჟინერ-ტექნიკოსთა და მოსამსახურეთა მიტინგზე სიტყვებით გამოვიდნენ და ახალი ვალდებულებები იკისრეს მკერავთა ბრიგადის ხელმძღვანელმა ორდენოსანმა ამხ. ვ. შუმლაძემ, საამქროს უფროსმა ამხ. კ. კუპრეიშვილმა, სტახანოველმა მკერავმა ამხ. ა. ზაქარაშვილმა და სხვ.

მიტინგზე მოხდა რესპუბლიკური გარდამავალი წითელი დროშის გადაცემა, რომელიც ქუთაისის სამკერვალო ფაბრიკამ მიიღო საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის სახალხო კომისარიატისაგან აგვისტოში მაღალი საწარმოო მაჩვენებლების მოპოვებისათვის.

დროშის მიღებისას ფაბრიკის დირექტორმა ამხ. ვ. უგულავამ ფაბრიკის მთელი კოლექტივის სახელით განაცხადა, რომ მუშაობის შემდგომ გაუმჯობესებით შეინარჩუნებენ საპატიო ჯილდოს.

ფაბრიკის კოლექტივმა ერთხმად იკისრა შემდეგი ვალდებულებები: წლიური გეგმა შეასრულონ ვადამდე—15 ნოემბრისათვის, შრომის ნაყოფიერება გეგმასთან შედარებით გაზარდონ 16 პროცენტით.

მოსკოველთა მიმართვის საპასუხოდ მიტინგები შესდგა აგრეთვე ვ. ბაქრაძის სახელობის აბრეშუმკომბინატში, საკონსერვო ქარხანაში, ლიტოპონის ქარხანაში, რკინიგზის კვანძზე და სხვ. ინდუსტრიული ქუთაისის საწარმოთა კოლექტივები ერთსულოვნად და დიდი მონდომებით ებმებიან საოქტომბრო სოციალისტურ შეჯიბრებაში.

რ. ბერაძე

შრომის მოწესრიგებას ნაკლები ყურადღება ექცევა

ᲒᲝᲠᲘ („კომუნისტის“ საკუთარი კორესპონდენტისაგან). რაიონის კოლმეურნეობებს შრომის ორგანიზაციის დარგში მიღწეულთან ერთად მთელი რიგი ნაკლოვანებები აქვთ. მრავალ კოლმეურნეობაში ბრიგადები დარგოლები სწორად არ არის დაკომპლექტებული. სოფელ დიდი ატენის კოლმეურნეობაში ბრიგადების გარეთ დარჩენილია 24 კოლმეურნე, სოფელ ზერტის კოლმეურნეობაში—43, გარდატენის, ქახვრელის, დიცის კოლმეურნეობებში ბრიგადებში 70-80 კოლმეურნე არიცხება. ქვეშის, ქეცხოვრის, ნაწრეტის და ქახვილის კოლმეურნეობების თითოეულ რგოლში გაერთიანებულია 15-24 კოლმეურნე. კარალეთის, ბერეთის, ქიწნისის, ტირძნისის კოლმეურნეობებში ჩამოყალიბებული ბრიგადების ნაწილი ბრიგადირებისა და მებოსტნეობის სპეციალური ბრიგადები.

ზოგიერთ კოლმეურნეობაში ბრიგადებსა და რგოლებს საწარმოო დავალება მიცემული აქვთ მუშახელის რაოდენობის გაუთვალისწინებლად. სოფელ ზეღდულეთის კოლმეურნეობის თითოეულ ბრიგადაზე დასამუშავებლად მიმაგრებულია 107 ჰექტარი სხვადასხვა კულტურები, მაშინ როცა პირველ ბრიგადაში 64 შრომისუნარიანი კოლმეურნეა, მესამეში—44, ხოლო მეოთხეში—42. სოფელ ქიწნისის კოლმეურნეობა „ახალ შრომაში“ მესამე ბრიგადაზე, რომელშიც 41 კოლმეურნე ითვლება, მიმაგრებულია 56,5 ჰექტარი სხვადასხვა კულტურები, ხოლო მეექვსე ბრიგადაზე, რომელშიც 39 კოლმეურნეა გაერთიანებული, მიმაგრებულია 86,4 ჰექტარი. მსგავსი მდგომარეობაა შავშვების, კარალეთის, ქვეშის კოლმეურნეობებში.

მთელ რიგ კოლმეურნეობებში მუშაობის ინდივიდუალურ სანარდო სისტემას ცუდად ატარებენ, არ ხდება შესრულებულ სამუშაოთა ზუსტი აღრიცხვა და ამის გამო კოლმეურნეთათვის შრომადღეების დარიცხვაში ადგილი აქვს გათანაბრებული მრავალ შეშფოთებას. ქვემო ტყვიავის, შრომისუნარა, ქიწნისის და შავშვების კოლმეურნეობებში კოლმეურნეებს ხელზე არა აქვთ მიღებული შრომის წიგნაკები, არ სწარმოებს კოლმეურნეთა მიერ შესრულებულ სამუშაოთა ყოველდღიური აღრიცხვა და შრომადღეების დარიცხვა. გარეჯის, ზემოსობისის, სვენეთის კოლმეურნეობებში ბრიგადირები მთელი წლობით გაითვისუფლებული არიან ფიზიკური მუშაობისაგან და მათ ოველთვიურად ეწერება 20-25 შრომადღე თითოეულს. კირბალის, კვარხითის, შრომისუბნის კოლმეურნეობებში შესრულებულ სამუშაოთა ხარისხს არ ამოწმებენ. კოლმეურნეობათა თავმჯდომარეები ბრიგადების მიერ შესრულებულ სამუშაოს დიდი დაგვიანებით იბარებენ, ზოგჯერ სრულიად შეუმოწმებლად და აქტების შეუდგენლად.

შრომა განსაკუთრებით მოუწესრიგებელია საკოლმეურნეო ფერმებში. ახალციხის, ყელქცეულის, ბორცვანის, გაგლოანთუბნის კოლმეურნეობების მეცხოველეობის ფერმებში პირუტყვის ჯგუფები ცალკეული მომვლელებისათვის არ მიუმაგრებიათ. ზოის ზონის კოლმეურნეობებში პირუტყვის მომვლელები ყოველ ათ დღეში იცვლებიან. არ სწარმოებს ნამატის მოღება, გაზრდისა და პირუტყვის უფროსი ასაკის ჯგუფებში გადაყვანის ალრიცხვა.

ეს იმის შედეგია, რომ ბორის რაიმიწვანი, შინდისის, ბორის და ახალსოფლის მტს-ები საკმაო ყურადღებასა და დახმარებას არ უწევენ კოლმეურნეობებს შრომის მოწესრიგების საქმეში.

კოლმეურნეობებში უკვე გაჩაღდა საშემოდგომო თესვისათვის მზადება. ბიმდინარეობს თესლეულის გამოყოფა, მანქანა-იარაღების რემონტი. ზოგიერთი კოლმეურნეობა ამ მხრივ ჩამორჩენილია. შინდისის კოლმეურნეობამ თესვა ამ დღეებში უნდა დაიწყოს, მაგრამ მას თესლი ჯერ შემოწმებული და კონდიციამდე აყვანილი არა აქვს და მანქანა-იარაღების შეკეთებაშიც ჩამორჩენილია. თესვისათვის სუსტად ემზადებიან აგრეთვე სათემოს, ციცაგიანთკარის, ნაწრეტის, ტინისხიდის კოლმეურნეობები.

საქართველოს კ. პ. (ბ) ბორის რაიკომის პლენუმმა, რომელმაც სპეციალურად განიხილა საკითხი კოლმეურნეობებში შრომის ორგანიზაციის მდგომარეობის შესახებ, დასახა ღონისძიებანი აღინშნულ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად.

შ. ჩუბინიძე

ყურადღება ბოსტნეულის გაღაზიდვას

ᲧᲐᲠᲐᲯᲘᲐ („კომუნისტის“ კორესპონდენტისაგან). ამჟამად კოლმეურნეობებში გაცხოველებული მუშაობაა ბოსტნეული და ბაღჩეული კულტურების მოსავლის ასაღებად. მოსავლის აღებაში დაწინაურდა სოფელ ტაბაკენტის კოლმეურნეობა „სოციალიზმი“, რომელმაც სახელმწიფოსათვის მარცვლეულისა და ბოსტნეულის ჩაბარების გეგმა 1 სექტემბრისათვის 160 პროცენტით შეასრულა. მოწინავენი არიან აგრეთვე სოფელ ყარაჯალარის ტელმანის, ლენინის, მოლოტოვის სახელობის კოლმეურნეობები.

მიმდინარეობს ბოსტნეულის სახელმწიფოსათვის ჩაბარება.

ხილეულისა და ბაღჩეულის გაგზავნაში არის შეფერხებები. სადგურის ბაქანზე დაგროვილი კომბოსტო, სტაფილო 4-5 დღე გაუგზავნელი რჩება. 29 აგვისტოს გაურეცხავი ვაგონი ჩამოაყენეს სადგურზე. იგი ცარიელი გაბრუნდა უკანვე. კოლმეურნეობა „ილიჩში“ 4 დღეა სამზამთრო და ნესვი მოკრეფილია, გადაზიდვა არ ხერხდება.

მეტი ყურადღება ბოსტნეულის გადაზიდვას.

ა. წინარეშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

გ. ნატროშვილი

სიმონ ჩიქოვანის პოეზია*

სიმონ ჩიქოვანის ლექსების კრებული „ჩემი მამული“ ფრიად საყურადღებო ლიტერატურული მოვლენაა.

რა არის ის ძირითადი ნიშნები, რომელნიც სიმონ ჩიქოვანის შემოქმედებას ახალი ქართული პოეტური კულტურის წარუკვეთელ ნაწილად აქცევენ?

ს. ჩიქოვანის ლექსი უღრმეს ემოციებთან ერთად აღსავსეა ნათელი აზრით. ეს არის პირველი ნიშანი მისი შემოქმედებისა. ის არა მარტო გრძნობს, არამედ აზროვნებს კიდეც. ფქაკოვი ამბობდა ტიუტჩევის შესახებ: ლექსში მას აქვს „Мыслящий образ и образная мысль“. ჩიქოვანის დამახასიათებელი თვისებაც ეს არის. იგი დაუცხრომელი პოეტური ძიების შემოქმედია, ის, როგორც მემკვიდრე ქართული ლექსის ძველი ოსტატებისა, მუდამ ცდილობს მანამდე უცნობი და გაუხსნელი სიტყვები შეჰქმნას. ეს სიტყვები ქართული პოეზიის სათავეს ეფართოებენ.

სტალინურმა ეპოქამ არნახული აყვავების ნიადაგი შეუქმნა მწერლობას, მისცა რა მას ახალი თემა, გაუხსნა რა მას ახალი ჰორიზონტები. ამ თემატიკურ-საფუძველზე, ამ ვითარებაში მოხდა ს. ჩიქოვანის შემოქმედებითი მომწიფება. და სწორედ ამან მისცა პოეტს ძალა გამხდარიყო ჭეშმარიტი მომღერალი დიდი სტალინური ეპოქისა, გადმოეცა ულამაზესი გრძნობები და ნათელი აზრები საბჭოთა ადამიანისა. ჩიქოვანის პოეზია გამსჭვალულია ღრმა იდეურობით. ამ მან დაიცვა ღირსეული ტრადიცია ქართული პოეზიისა, რომელიც თავის აყვავების ეპოქებში გადმოგვცემდა ქართველი ხალხის პატრიოტულ სულს და მარად მზადყოფნას სამშობლოსათვის საბრძოლველად. ამ ლექსებში, რომლებიც პოეტმა სამამული ომის წლებში გამოაქვეყნა, მძლავრად ისმის ხმა საბრძოლველად აღმდგარი მეომარი ქართველი ხალხისა, რომელმაც მოძმე ერებთან ერთად, დიდი რუსი ხალხის მეთაურობით, დიდი სტალინის მთავარსარდლობით მოიგერია შუასაუკუნეების ბნელეთის მოციქულთა ურდოები და ამარცხებს მათ. ომის ჰეროიდის ლექსში პოეტი უფრო ორგანიულად გამოხატავს საბალხო გულისთქმას, მილიონთა პატრიოტულ მისწრაფებას.

ხალხთა სტალინური მეგობრობის თემა პოეტისათვის აღრეც ერთ-ერთი მნიშვნელოვანი თემა იყო. სამამულო ომის წლებში ამ თემამ მის შემოქმედებაში უფრო მეტი ადგილი დაიჭირა. 1941 წლის ნოემბერში, როცა მუხანათი მტერი დედაქალაქის მისასვლელებს უახლოვდებოდა, როცა მთელი საბჭოთა ქვეყანა აღსდგა მოსკოვის დასაცავად — პოეტი შემდეგი მგზნებარე სტრიქონებით მიმართავდა რუსეთის მწერლებს:

„ქარიშხალია, ძმებო, ვიგონებთ:
როგორი ცეცხლი დაგვქონდა გულით:
გავაზებივით ვწვრთნიდით სტრიქონს,
აბარტყებულებს მამულის ბუდით.
ძმებო, დღეს მესმის ძახილი თქვენი,
ძახილი მოჭქრის მოსკოვის ბჭენი,
შეჯავშნული ბოსკოვის ბჭენი,
ხალხი ინახავს მშობლიურ ვარსკვლავს,
უნდათ გიგვთიშონ, დაგვაკრან დაღი,
მონის უღელი თვითეულს გვარგონ,
მოსწვან სათუთად აღზრდილი ბაღი,
მიხაკისფერი სამსალი დარგონ.
ვერა, ვერ შესძლოს დაძლევა კრულმა,
კრემლთან დაიმტვრა მტარვალის ძვლები,
ჩვენ შეგვაერთა ცხოვრებამ ბრძნულმა
და განუყრელად დავრჩებით ძმები“.

ხალხთა მეგობრობას აქვს არა მარტო თავისი ბრწყინვალე აწმყო, არამედ თავისი ისტორიაც. ეს ნათელი ზოლივით გასდევს ჩიქოვანის ლექსების ვრცელ ციკლს, რომელსაც ეწოდება „სიმღერა დავით გურამიშვილზე“. აქ ნაჩვენებია გურამიშვილი, როგორც ისტორიული სიმბოლო ქართველების და რუსების მეგობრობისა. ამ წიგნში გურამიშვილი დგას ამ შუქურასავით, რომელიც ანთია სადღაც შორს, საუკუნენახევრის იქით და გვაძლევს ამის მაგალითს, თუ როგორ უნდა ერთად ბრძოლა, როგორ უნდა სამშობლოს სიყვარული.

ლექსთა ციკლები, რომლებისაგანაც „ჩემი მამული“ შესდგება, საინტერესონი არიან როგორც მსოფლიოს, — ქვეყნისა და ბუნების ღრმა და ფხიზელი პოეტური შეიცნებით, მეკვრმეტყველური სახეებით, რომლებიც ხშირად იტეკვენ ისტორიისა და თანამედროვეობის გაშლილ და ერთი შეხედვით ლექსში ჩაუტეველ პერსპექტივას. შორს იხედება მწერლის თვალი და ღრმად სწვდება მოვლენისა და სიგნის ბუნებას. ის არის ნამდვილი პოეტი აწმყოსი, სამამულო ომის მშფოთვარე დღეებისა და იმავე დროს მის ლექსში, თითქმის იმავე სტრიქონებში ისმის პრეისტორიული წინაპრის ხმაც, იმავე დროს „პირველ-ქმნილი სათავეებს“ მიმდევარიც არის, ეს მგზნებარე ლექსით უმღერის მარქს-ენგელს-ლენინის ინსტიტუტის თბილისის ფილიალის მოსუმენტურ შენობას და იმავე დროს ვარძიას. ის სწერს ახალ თბილისზე და იმავე დროს იმ სახლებზე, რომელნიც ათასეული წლების წინ პირველმა ქართველებმა აიშენეს მცხეთის მიწაზე. ასე წარმოისახება ლექსების ციკლში ერის სიცოცხლე, რომელიც იწყება მცხეთით და თბილისით გრძელდება, რომელიც იწყება ვარძიით და სოციალისტური თბილისის დიდებულ ძეგლებში გადადის. მარქს-ენგელს-ლენინის ინსტიტუტის თბილისის ფილიალის დარბაზთა კედლებზე პოეტი კითხულობს ხალხის ნათელი ოცნებების განხორციელებას, საბჭოთა ეპოქის სიდიადეს. იმავე დროს დახვეწილი მარმარილოთი და ბოლნისის ნატიფი ქვით ამოყვანილი სვეტები შენობისა მას, თითქოს იღუმალად, ქართლის ძველი ისტორიის საიდუმლოებას ჩასჩურჩულებენ, ამ სიცოცხლის საიდუმლოებას უმხელენ, ამ უკვდავების საიდუმლოებას უძღვნენებენ, რომლებზედაც, როგორც ფუძეზე, დაყრდნობილია შენობა საქართველოს ისტორიისა. ამ ქვებით აშენებდა ძველი ქართველი გორის ციხეს და წულრუღაშენს, ამ ქვებზე ენთო კერის ცეცხლი და ამიტომ არიან ისინი ისევე ძვირფასნი, როგორც რელიკვიები, რომელთაც წინაპარი შთამომავლობას დაუტოვებს ხოლმე. ლექსში ცოცხლდებიან თვით ლოდები და მოგვითხრობენ როგორ ესმოდათ მათ ოდესღაც ბოლნისში ქართლის ჯეჯილების ღაღანი. ამ ლოდების აფერადებაში კრთიან ჩრდილები ამ სანთლებისა, რომელთა შუქზე ძველი ოსტატები სწერდნენ. მათ ფერებში ანაზას ზოლები მოსჩანან. სამარადისოდ დარჩენილან ეს ფერები, სახეები და ამიტომ არის საყვარელი ქართული ცა, მიწა, მტკვრისა და არაგვის მადამონი,—სადაც ახლაც ვაზის ტოტზე სერაფიტის სილამაზის მაღლია დაფრქვეული, სადაც სერაფიტი ისევ ყოველ დილას ციისკართან ერთად აღვიძებს მარადიული ძილისაგან. ამიტომ ამბობს პოეტი საგალობელში სერაფიტისადმი:

„მშვენიერო რტოვ არმაზის!
მოგვლე მცხეთა და ქინძარი.
შენ ცხადი ხარ თუ სიზმარი,
თუ მძინარეს მოგისწარი.
რა ხმა გვქონდა, რა ფხიანი,
მოგვითხრე და დაგვაჯერე,
შენი სული ცხრა-ფრთიანი
კუბოდ როგორ გაიჩერე.
რა გზა შეგვხვდა, რა გრიგალი,
რას ვგალობდეთ, რა ვიყვანთ!
ტურფავ, შენი ნაფიქრალი
რეგორც ლუკმა გამიყვანთ“.

„შენ ცხადი ხარ თუ სიზმარიო“,—კითხულობს პოეტი. სერაფიტი სიზმარია, რადგან გარდასულია, მაგრამ ცხადიც არის, ნამდვილიც არის იმავე დროს, რადგან ისევე ლამაზია ქვეყანა, ისევე ლამაზია საქართველო. ეს ღრმა ფილოსოფიური ოპტიმიზმის ჰოეზიაა, რომელიც რადიკალურად უპირისპირდება ძველი რომანტიკის კონცეპციას, რომლისთვისაც წარსულის ნაშთები მარტო სიკვდილზე, მარტო არარაობაზე, მარტო მარადიულ არყოფნაზე მეტყველებდნენ. ჰოეზიის ნამდვილი აზრი და დანიშნულება ის არის, რომ წარმავალში წარუვალი დაინახოს, დიბოლოვებულში დაუბოლოვებელი იცნოს, მიწიერ სიცოცხლეში იწამოს მარადიული აზრი ყოფნისა, აზრი სიცოცხლის სიყვარულისა.

„მეთვეზის სტუმრობაში“ პოეტი სწორედ ამ სიცოცხლეზე ლაპარაკობს: მას ათასი სახე, ათასი ფერი აქვს. მას ყველგან დაუდვია ბინა. ის არის „ბუნების წიაღში“ და „წინაპრის ხმაში“, ის არის ყველგან, სადაც პოეტის შთაგონება ფესვს იდგამს და სულიერ საზრდოს ეძებს:

„ფერებს ბუნების წიაღში ვპოვებთ,
სითბოს გვინერგავს მისივე ფესვი.
ჩვენ ვეტრფოთ წყალთან შენს სიახლოვეს
და როგორც ბადე ირხევა ლექსი.
მშობლის გული და მშრომელის ფერი,
მოულოდნელი წვიმა მაისის,
წარბზე დაყრილი წიგნების მტვერი,
წარმტაცი ცეცხლი მეგრულ დაისის
მოგროვდება და ჭაბუკის გულში
ჯერ გამოუთქმელ მდინარეს ბადებს.
თუ ვერ შეეიპყრეთ თვეზები გუშინ,
დღეს ამოვიღებთ ავსებულ ბადეს.
შემდეგ როდესაც ალიონივით
შეგეეპარება ჭაღარა თმაში,
დავმწიფდებით და წელთა რონინი
სიბრძნეთ იქცევა დადგენილ ხმაში“.

მშობლის გული და მაისის წვიმა, წიგნები და ბუნების ეშხი—ეს სრულიად არათანაზომადი მოვლენებია, მაგრამ სწორედ აქ არის გამომლაენებული პოეტის მსოფლმხედველობა—დაინახოს მთლიანობაში მრავალფერიანი და მრავალხმიანი ქვეყანა — მთებს, ზღვების, კოლხდის ჰაერის სურნელება, ბუნების ეშხი და სოციალიზმის დიდებული სინამდვილის სილამაზე. პოეტისათვის ერთი - მთლიანობაა, ერთი სიცოცხლეა დიდა-სამშობლოს ცნება, ამიტომ უმღერის ის ერთად, ერთ ლექსში ვარდებისა და დროშების შრიალს, ამიტომ უმღერის ერთად და ერთი სიყვარულით მზესა და ქართულ მატიანეს. ამიტომ უმღერის ერთ წიგნში კახეთის გთქვირებულ შემოდგომას, რომელიც მას მართ

გერმანელ გენერალ მოზერის განცხადება

თარგმანი გერმანულიდან

წითელი არმიის სარდლობას

ქალ. ლიუბლინში არსებული 372 მთავარი საველე კომენდატურის ქოფილი კომენდანტის, გენერალ-ლეიტენანტ მოზერის განცხადება

მე, ჰილმარ მოზერი, დაბადებული 1880 წელს დ. ლანგენორლაში (როდის ოლქი). 1902 წლიდან ვმსახურობდი გერმანიის არმიაში. გენერალ-მაიორის ხარისხი მივიღე 1935 წელს, გენერალ-ლეიტენანტისა კი—1942 წელს. ჩემი საბრძოლო მოღვაწეობისათვის დაჯილდოებული ვარ წარჩინების ყველა ნიშნით, რაც კი გერმანიაში არსებობს.

42 წლის განმავლობაში მე მუდამ პატიოსანი ჯარისკაცი ვიყავი, მონაწილეობას ვიღებდი ორ მსოფლიო ომში, მივიღე მძიმე ჭრილობა.

მე არავითარი მიზეზი არა მაქვს ვდუმდე ჰიტლერის მძიმე დანაშაულობათა შესახებ ან დავფარო ისინი, და ჩემს მოვალეობად მიმაჩნია მთელი სიმართლე ვთქვა ეგრეთწოდებულ „მოსპობის ბანაკზე“, რომელიც ჰიტლერელებმა მოაწყეს ქ. ლიუბლინის მახლობლად, ხელმის გზატკეცილის გასწვრივ.

1942 წლის ნოემბრის ბოლოს მე ლიუბლინს მივედი № 372 მთავარი საველე კომენდატურით, როგორც მისი კომენდანტი.

ჩემი წინამოადგილე — გენერალი ფონ-**ალტრო�t** დაახლოებით 3 კვირის შემდეგ, თავისი მთავარი საველე კომენდატურიანად გადაყვანილ იქნა უფრო შორს აღმოსავლეთისკენ.

სამსახურის საქმეთა გადმობარებისას მან მაცნობა, რომ ლიუბლინში არის საკონცენტრაციო ბანაკი, რომელიც სდ-ს ექვემდებარება. მან განაცხადა, არმიისადმი გაცემული ბრძანების თანახმად, მთავარი საველე კომენდატურის კომენდანტს, როგორც შეიარაღებული ძალების წარმომადგენელს, სასტიკად ეკრძალება ინახულოს ეს ბანაკი და გამოიკითხოს იმის შესახებ, თუ რა ხდება იქ.

მალე ამის შემდეგ ლიუბლინს მოვიდა სამხედრო ოლქის სარდალი საგენერალ-გუბერნატორო—ინფანტერიის გენერალი ჰაინიკე, რომელსაც მთავარი საველე კომენდატურა ემორჩილებოდა.

მან გაიმეორა გენერალ ალტროკის მიერ ჩემთვის გადმოცემული ბრძანება და ერთხელ კიდევ მომითითა, რომ სასტიკად აკრძალულია იმით დაინტერესება, რაც საკონცენტრაციო ბანაკში ხდება.

სხვათა შორის, მან მითხრა: „იქაური საქმეები გახურებულ რკინასა ჰგავს, რომელსაც ვერ მიეკარები“.

ჩემი მოღვაწეობის პირველ ხანს მე ბევრს ვმგზაურობდი, რათა გავცნობოდი ჩემს გამგებლობაში არსებულ ტერიტორიას. შემდეგ მე შევეცადე დაწერილებით გამეგო საკონცენტრაციო ბანაკის შესახებ და შემდეგი გამოვარკვიე:

ბანაკი გადაჭიმული იყო რამდენიმე კილომეტრზე ხიდის გზატკეცილის სამხრეთი მხარის გასწვრივ და რამდენიმე კილომეტრით სიღრმეში. მე ვფიქრობ, რომ მისი ტერიტორია დაახლოებით შეადგენდა 30 კვადრატულ კილომეტრს. ბანაკისაკენ მიდიოდა რამდენიმე პირდაპირი რკინიგზის შტო მთავარი სადგურიდან. გარედან მას ერტყა ეკლიანი მავთულის ჩვეულებრივი ღობე, რომლის გასწვრივაც გარეთა მხრიდან მრავალი მცველი იდგა. არ ვიცი, თუ რა ხნიდან არსებობდა ბანაკი, მაგრამ ვიცი, რომ ლიუბლინში ჩემი ყოფნის განმავლობაში იგი მნიშვნელოვნად იქნა გაფართოებული.

პოზიციების ამორჩევისას „ლიუბლინის გამაგრებული რაიონის“ თავდაცვითი ზოლების ასაგებად, რომლებიც საკონცენტრაციო ბანაკის აღმოსავლეთი ნაწილის გასწვრივ გადიოდა (ღობის გარეთა მხრიდან), მე სხვა ოფიცრებთან ერთად, რომლებიც მშენებლობას ხელმძღვანელობდნენ, ერთხელ ვიყავი ბანაკის გარეთა ღობის შიგნით, დაახლოებით 30 მეტრზე ამ ღობიდან.

მე განზრახვა არა მქონია დამეთვალიერებინა ბანაკი, რაც, როგორც უკვე ნათქვამია, უსასტიკესად იყო აკრძალული ზემდგომი ინსტანციების მიერ.

მაგრამ მაინც ბევრი რამ, რაც ბანაკში ხდებოდა, ჩემთვის ცნობილი გახდა.

ამ ბანაკს ჩვენ ყველანი ლიუბლინში საკონცენტრაციო ბანაკს ან ებრაელთა ბანაკს ვეძახდით, იმიტომ, რომ თავდაპირველად იქ ებრაელები იყვნენ მოთავსებულნი; შემდეგში იქ იმყოფებოდნენ სულ სხვადასხვა ეროვნების წარმომადგენელნი, ეგრეთწოდებული პოლიტიკური დამნაშავენი, მათ შორის გერმანელებიც.

1943-1944 წლების ზამთარში იქ მოსპობილ იქნა დიდძალი პატიმარი, მათ შორის, რაც ჩემში დიდ აღშფოთებას იწვევს, ქალები და ბავშვები.

მოკლულთა რაოდენობა ასიათასობით კაცს აღწევდა.

ეს უბედურები ზოგი დახვრეტილ იქნა, ზოგ კი გაზებით იქნა დახოცილი.

ჩემთვის შემდეგ არაერთგზის უამბნიათ, რომ მოსპობის ბანაკში განწირულებს მეტისმეტად მძიმე სამუშაოს აკეთებინებდნენ, რაც აღემატებოდა მათს ძალას, და ამასთან მათ სასტიკი ცემით აიძულებდნენ მუშაობას.

აღშფოთებით გავიგე, რომ ამ ბანაკში დაპატიმრებულთ, ვიღრე დახოცავდნენ, კიდეც აწამებდნენ და სტანჯავდნენ.

ამა წლის გაზაფხულზე უთვალავი გვამი ამოსთხარეს და დასწვეს სპეციალურად აგებულ ღუმელებში, ალბათ, რათა მიეჩქმალათ ჰიტლერის ბრძანებით ჩადენილ დანაშაულობათა კვალი.

უზარმაზარი ღუმელები აგებული იყო აგურისა და რკინისაგან და ისინი წარმოადგენდნენ კრემატორიუმებს, რომელთაც დიდი გამტარუნარიანობა ჰქონდათ.

გვამებს სუნი ხშირად მოდიოდა ქალაქში, ყოველ შემთხვევაში მის აღმოსავლეთ ნაწილში, ამიტომ ნაკლებ ინფორმირებული პირებისთვისაც კი ცხადი იყო, თუ რა ხდებოდა ამ საშინელ ადგილას.

ცნობები ამ საშინელი ბანაკის შესახებ მე მივიღე შემდეგ პირებთან საუბარში: გენერალი ფონ-ალტროკი—ჩემი წინამოადგილე, მთავარი საველე კომენდატურის კომენდანტი; გენერალი რენერი—174-ე სარეზერვო დივიზიის ყოფილი მეთაური ლიუბლინში; მაიორი გლაიზნერი — ლანდვერის 991-ე მსროლელ ბატალიონის მეთაური; დოქტორი კლაუსი და დოქტორი ოზორი—მომარაგების განყოფილებისა და რაიონის სოფლის მეურნეობის უფროსები და მაიორი ჰარამანნი, რომელიც თითქმის 5 წლის განმავლობაში ჩემი ადიუტანტი და სანდო პირი იყო.

მაიორ ჰარამანს მე თვითონ ვთხოვე გავგო, თუ რა ხდებოდა ბანაკში, და მან ყველაზე უფრო სრული ინფორმაცია წარმომიდგინა.

სხვა პირებისაგან ჩემს მიერ მიღებულ ცნობებს მჭევრმეტყველურად ავსებდა გვამების აუტანელი სუნი, რასაც თვით მე ხშირად ვგრძნობდი.

სიტყვები არა მყოფნის, რომ გამოვთქვა აღშფოთება უმაგალითო ბოროტმოქმედებათა გამო, და დარწმუნებული ვარ, რომ ყოველი რიგიანი გერმანელი უარსყოფს იმ მთავრობას, რომელმაც განკარგულება გასცა ამგვარი ორგანიზებული მასობრივი მკვლელობის შესახებ.

იმის დადასტურებას, რომ მოსპობის ბანაკის მოქმედება წარმართული იყო ჰიტლერული მთავრობის მიერ, წარმოადგენს ის ფაქტი, რომ ბანაკი ინახულა თვით ჰიმლერმა, რომელიც ლიუბლინს ჩამოვიდა 1943 წლის ზაფხულში.

ჩემს პირდაპირ მოვალეობად ვთვლი, როგორც გენერალი და ჯარისკაცი, რომელმაც არმიაში 42 წელს ვიმსახურე, ვმონაწილეობდი ორ მსოფლიო ომში, მივიღე მძიმე ჭრილობა და, ბოლოს, როგორც ლიუბლინის რაიონის მთავარი საველე კომენდატურის უკანასკნელი კომენდანტი, ხელი შევუწყო მთელ იმ უმაგალითო დანაშაულობათა სრულ გამომჟღავნებას, რასაც საკონცენტრაციო ბანაკში სჩადიოდნენ. მე მოვუწოდებ არმიის ყველა ჯარისკაცს, რომელთა უფროსიც მე ვიყავი ქალაქ ლიუბლინში, მისცენ ჩვენება ყველა მათთვის ცნობილი. ბოროტმოქმედების შესახებ, რაც ლიუბლინის მოსპობის ბანაკში ხდებოდა.

მოზერი,
გენერალ-ლეიტენანტი

1944 წლის 29 აგვისტო
„პრავდა“

1944-45 წლის ზამთრის სეზონისათვის ხანძარსაწინააღმდეგო ღონისძიებათა გეგმების შესახებ

მშრომელთა დეპუტატების თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომი ადგენს:

1. დაეკალოს საწარმოთა და დაწესებულებათა ხელმძღვანელებს, საბინაო მეურნეობათა სამმართველოების უფროსებს, სახლთა მმართველებს, საუწყებო სახლებისა და საერთო საცხოვრებლების კომენდანტებსა და სახლთა კერძო მფლობელებს 1944 წლის 1 ნოემბრამდე განახორციელონ შემდეგი ხანძარსაწინააღმდეგო ღონისძიებანი 1944-45 წლის ზამთრის სეზონისათვის:

ა) შეამოწმონ და სავსებით დაამთავრონ ცენტრალური და საღუმელო გათბობის რემონტი, სრულ წესრიგზე მოიყვანონ ქვაბები და საქვაბე ადგილები, დაათბუნონ განშტოება და ხელსაწყოები იმ ადგილებში, რომელთაც გაყინვის საფრთხე მოელით.

იმ ადგილებში, რომელთაც ცენტრალური გათბობა აქვთ, რადიატორები და მილები გამოთაცალეკვონ შენობის ხის ნაწილებისაგან აზბესტით ან თიხით კაეღენთილი ქაჩით ან მათ შორის დასტოვონ ჰაერის 10-სანტიმეტრიანი ფენა;

ბ) შეამოწმონ საკვამლე მილები, გასწმინდონ ისინი ჭვარტლისაგან, შეაკეთონ ჭუჭრუტანები, გამოლესონ თიხით და შეათეთრონ ალიბეჭეები და დგარმილები.

გ) აქვაბე დანადგართა საკვამლე მილებში შეამოწმონ, არის თუ არა ნაპერწკალსაქერი ხუფები. ხოლო სადაც არ არის, მოაწყონ;

დ) შეამოწმონ არსებობა და ოდენობა საკვამლე მილების ჰორიზონტალური ძგიდეებისა სხვენში და საერთოლ შორის გადახურვაში მათი გასვლისას და უზრუნველჰყონ ძგიდის სულ მცირე 38 სანტიმეტრით დაშორება საკვამლე მილებიდან ხის კონსტრუქციამდე. სახურავის ხეს ლარტყული შემოერჩონ სულ მცირე 10 სანტიმეტრით საკვამლე მილების გარშემო.

ე) წესრიგზე მოიყვანონ საცხოვრებელი ბინების, კიბის ბოყვებისა და საერთო სარგებლობის ადგილების ელექტროგაყვანილობა;

ვ) შეამოწმონ და უზრუნველჰყონ ხის იატაკებზე ღუმელის წინ რკინის ფურცლების დაგება;

ზ) შეამოწმონ არსებული სახანძრო ინვენტარი და გაუკეთონ მას საჭირო რემონტი, ხოლო სადაც აუცილებელია—შეავსონ იგი და უზრუნველჰყონ მისი დაცვა;

თ) ყოველ სახლში იქონიონ წყლისა და სილის საკმარი მარაგი ხანძრის ჩაქრობის მ ზნით.

2. აიკრძალოს ქალაქ თბილისს უკლებლივ ყველა საწარმოსა, დაწესებულებასა, წარმოებასა და საცხოვრებელ სახლში:

ა) დროებითი ღუმელების დადგმა საქართველოს სსრ შინსახკომის გასამხედროებული სახანძრო დაცვის სამმართველოს თბილისის ქალაქის საბჭოს რაიონული სახანძრო ინსპექციის უნებართოდ;

ბ) სხვადასხვა დამატებითი ელექტროგაყვანილობის, შტეფსელებისა და ელექტროწერტილების მოწყობა ელექტრონაგებობათა თბილისის სამმართველოს (თელასი) უნებართოდ.

3. თელასმა გააძლიეროს სახლების ელექტრომეურნეობის კონტროლი; ის სახლები და ცალკე ბინები, რომელთაც ეგარგისი ელექტროგაყვანილობა აქვთ, აგრეთვე რომელთაც არა აქვთ დამცავი კორპები,—გამორთულ იქნან ელექტროსელიდან.

4. გაფრთხილებულ იქნან საწარმოთა, დაწესებულებათა და ორგანიზაციათა ხელმძღვანელები, აგრეთვე სახლთმმართველები, საუწყებო სახლებისა და საერთო საცხოვრებლების კომენდანტები და სახლთა პირადი მფლობელები, რომ ხანძარსაწინააღმდეგო წესების შეუსრულებლობისათვის ისინი მიცემულ იქნებიან პასუხისგებაში საქართველოს სსრ მინსახკომის თბილისის გასამხედროებული სახანძრო დაცვის საქალაქო სამმართველოს ორგანოების მიერ სსრ კავშირის სახკომსაბჭოს 1942 წლის 13 აგვისტოს № 1364 დადგენილებათა საფუძველზე.

5. ამ დადგენილების შესრულების კონტროლი დაეკისროს საქართველოს სსრ შინსახკომის თბილისის გასამხედროებული სახანძრო დაცვის საქალაქო სამმართველოს.

მშრომელთა დეპუტატების თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის
თავმჯდომარე გ. ბოჩაშვილი

მშრომელთა დეპუტატების თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის
მდივანი შ. ბაძრაძე

დეკალი

სომპარი მოქმედება დასავლეთ ევროპაში

ლონდონი, 10 სექტემბერი (საკადესი). მოკავშირეთა საექსპედიციო ძალების უმაღლესი სარდლობის შტაბის დღეს გამოქვეყნებულ ცნობაში ნათქვამია:

მოკავშირეთა ჯარებმა, რომლებიც სწმენდნენ ლა-მანშის სანაპიროს რაიონს, მნიშვნელოვან წარმატებას მიაღწიეს ბერგის სექტორში, დიუნკერკის სამხრეთ-აღმოსავლეთით. უფრო აღმოსავლეთით მოკავშირეთა ნაწილები ბრიუგეს უახლოვდებიან. ანტვერპენას ჩრდილოეთით მოკავშირეთა ჯარები წინსვლას განაგრძობენ. პლაცდარმების გაფართოება აღბერტის არხზე გრძელდება, მიუხედავად მტრის შეუპოვარი წინააღმდეგობისა. მოკავშირეთა ჯარებმა წინ წაიწიეს კერმპტისაკენ (4 მილზე ჰასელტის დასავლეთით) და ნოდუვეს-მარილისა და ფოლს-ლე-კავისაკენ ტირლემონ-იუის სექტორში. მოკავშირეთა სხვა ნაწილებმა, რომლებიც ლიეჟის აღმოსავლეთით და სამხრეთ-აღმოსავლეთით მოქმედებენ, 14 მილით წაიწიეს წინ და ლიმბურგში შევიდნენ.

მოკავშირეთა ჯარები განაგრძობდნენ რაჟალის შეკრას ბრესტის ნავსადგურის გარშემო, სადაც მტერი გაფთრებულ წინააღმდეგობას ეწევა.

9 სექტემბრის განმავლობაში მოკავშირეთა ავიაცია განაგრძობდა თავდასხმას მოწინააღმდეგის ტრანსპორტსა, კომუნიკაციებსა და აეროდრომებზე ჰოლანდიასა და დასავლეთ გერმანიაში. იერიში იქნა მიტანილი საარტილერიო პოზიციებსა და გამაგრებულ პუნქტებზე ბრესტსა და ბულონში.

ლონდონი, 11 სექტემბერი (საკადესი). მოკავშირეთა საექსპედიციო ძალების უმაღლესი სარდლობის შტაბის ცნობაში ნათქვამია:

ნაწილმა, რომლებიც მდინარე მოზელისაკენ მიიწევენ, გაათავისუფლეს ქალაქი ლუქსემბურგი. მოკავშირეთა ჯარები შევიდნენ ნეიტორში და ქალაქ ლივარდენის ჩრდილოეთ ნაწილში. ალბერტის არხზე ხიდწინა სიმაგრეთა რაიონში გერმანელები გააფთრებულ წინააღმდეგობას გვიწევენ. გენტში მტრის წინააღმდეგობა დაძლეულ იქნა და მოკავშირეთა ჯარებმა დაიკავეს ქალაქი. მოწინააღმდეგისგან გაწმენდილია ოსტენდე და ნიეპორტი. მთელი სანაპირო ოსტენდესა და ვიორნეს შუა მოკავშირეთა ხელშია.

ბრეტანში ბრესტის გარეუბნებში გრძელდება ბრძოლები ქუჩებში. მტერი განაგრძობს წინააღმდეგობის გაწევას კროზონის ნახევარკუნძულზე, ბრესტის სამხრეთით.

10 სექტემბერს ინგლისის ხომალდებმა, რომლებიც ეხმარებოდნენ სახმელეთო ჯარების ოპერაციებს, ძლიერი ცეცხლა დაუშინეს ჰავრის თავდაცვითს სიმაგრეებს.

მოკავშირეთა ავიაციამ კონცენტრირებული თავდასხმა მოახდინა გერმანელთა გამაგრებულ პოზიციებზე ჰავრში. სხვა შენაერთები კვლავ ესხმოდნენ თავს მტრის აეროდრომებს, კომუნიკაციებსა და ტრანსპორტს.

ლონდონი, 11 სექტემბერი (საკადესი). ოპერაციების ხმელთაშუა ზღვის ასპარეზზე მოქმედი მოკავშირეთა შეიარაღებული ძალების შტაბის ცნობაში ნათქვამია:

საფრანგეთში მე-7 არმიის ნაწილებმა ფრონტზე წინ წაიწიეს ჩრდილოეთით დაახლოებით 100 მილზე და აღმოსავლეთ საფრანგეთში კიდევ უფრო მეტად დაავიწროეს კორიდორი, რომლითაც მოწინააღმდეგეს უკანდახევა შეუძლია. საფრანგეთის არმიის მეწინავე ნაწილებმა, რომლებიც მტრის სუსტ წინააღმდეგობას ხვდებიან, მიაღწიეს დიეონის გარეუბნებს და მიადგნენ სოლიეს. ბელფორის სამხრეთით, მდინარე დუსა და შვეიცარიის საზღვარს შუა მოქმედი საფრანგეთის ჯარები მტრის შეუპოვარ წინააღმდეგობას წააწყდნენ.

იტალიაში, ფლორენციის ჩრდილოეთით, ამერიკის მე-5 არმიის ნაწილებმა სწრაფად წაიწიეს წინ. უფრო დასავლეთით მე-5 არმიის ნაწილებმა კვლავ მიაღწიეს დიდ წარმატებებს და დაიკავეს ქალაქები პრატო და პისტოია. ქალაქ ლუკის ჩრდილოეთით ამერიკელთა პატრულები უკვე შეხვდნენ მოწინააღმდეგის ჯარებს „გოთას ხაზის“ მოწინავე პოზიციებზე.

მე-8 არმიის ინგლისელთა და ინდოელთა ნაწილები, რომლებიც მტრის შეუპოვარ წინააღმდეგობას ხვდებიან, კვლავ მიიწევენ წინ ორონტის ადრიატიკის უბნის მარცხენა ფლანგზე.

ბრძოლები იუგოსლავიაში

იუგოსლავიის ჯარებმა გაათავისუფლეს ქალაქები პროკუპლე, კოსიერიჩი, დუბი, ნოვა-ვაროში, ჟაბლიაკი, გაცკო, ტესლიჩი

ჟენევა, 10 სექტემბერი (საკადესი). როგორც იუგოსლავიიდან გადმოგვცემენ, იუგოსლავიის სახალხო-განმათავისუფლებელი არმიის უმაღლესი შტაბი იუწყება, რომ სერბიაში იუგოსლავიელთა ნაწილებმა გაალასტრეს ყველა უმნიშვნელოვანესი კომუნიკაცია, რომლებიც ჩრდილოეთისაკენ მიემართებიან, და ოკუპანტთა და მათ დამქაშთაგან სწმენდენ ქალაქებსა და სოფლებს. სერბიის მე-14 კორპუსი განაგრძობს წარმატებიან შეტევას. ტოპლიცეს სექტორში დაკავებულია ქალაქი პროკუპლე. ხელთ ვიგდეთ დიდი დაცვა, მათ შორის 8 ტანკი. წამოყვანილია ტყვეები და მათ შორის ქალაქის გერმანელი კომენდანტი. ნიშის სამხრეთით იუგოსლავიელთა ნაწილებმა მოწინააღმდეგისაგან გასწმინდეს ბაბინჯა გორის მთელი რაიონი. მორავის დასავლეთით იუგოსლავიის ჯარებმა დაიკავეს კოსიერიჩი და დუბი. უფრო სამხრეთით დაკავებულია ქალაქი ნოვა-ვაროში.

მაკედონიაში სახალხო-განმათავისუფლებელი არმიის ნაწილებმა გადასჭრეს სერბიაში მიმავალი ყველა გზა.

ჩერნოგორიაში იუგოსლავიელთა ნაწილებმა დაიკავეს ჟაბლიაკი, განავითარეს შეტევა დლევერ-ტარუს მიადგნენ.

ჰერცეგოვინაში დაკავებულია ქალაქი გაცკო. სახალხო-განმათავისუფლებელი არმიის ნაწილები განაგრძობენ მოწინააღმდეგის დევნას ნევესინის მიმართულებით.

აღმოსავლეთ ბოსნიაში, ვიშეგრადის სექტორში განადგურებულია გერმანელთა პოლკი. მოწინააღმდეგემ მოკლულთა სახით 350-მდე კაცი დაჰკარგა.

ცენტრალურ ბოსნიაში სახალხო-განმათავისუფლებელი არმიის ნაწილებმა დაიკავეს ქალაქი ტესლიჩი.

სლოვენიაში მოძრაობა შეწყვეტილია მოწინააღმდეგის ყველა კომუნიკაციაზე. რადიოსადგური „სლობოდნა იუგოსლავია“ ეუწყება, რომ სერბიაში ფართო აჯანყებამ იფეთქა. მოსახლეობა მასობრივად შედის სახალხო-განმათავისუფლებელ არმიაში.

ჰიგლერზე თავდასხმის მონაწილეთა ახალი პროცესი

ჩამოხრჩობა მიესაჯა 7 ჰიტლერელ პოლიტიკურ მოღვაწეს

ჟენევა, 11 სექტემბერი (საკადესი). ბერლინის რადიო ავრცელებს ანგარიშს იმ „სასამართლოს“ ახალი „სხდომის“ შესახებ, რომელიც შექმნილია ჰიტლერზე იკლისში მომხდარი თავდასხმის მონაწილეი პირთა საქმეების გასარჩევად. როგორც წინათ გადაცემულ ცნობაში იყო ნათქვამი, ჰიტლერზე თავდასხმის საქმის გამო შემდგარი პირველი სასამართლო პროცესის შემდეგ ჩამოხრჩობილ იქნენ გენერალ-ფელდმარშალი ვიცლებენი, სამი გენერალი და ოთხი სხვა ოფიცერი.

ბერლინის რადიოს მტკიცების თანახმად, ახლა გარეშულ იქნა თავდასხმის მონაწილე პოლიტიკურ მოღვაწეთა საქმე, სახელდობრ საქმე ლაიპციგის ყოფილი ობერ-ბურგომისტრის და გერმანიის მთავრობის საგანგებო რწმუნებულისა ფასების მეთვალყურეობის ხაზით კარლ ჰერდელერისა, ჰესენის ყოფილი შინაგან საქმეთა მინისტრის ვილჰელმ ლაშნერისა, ყოფილი პროკურორის იოზეფ ვირმერისა, ყოფილი ელჩისა რომში ულრიხ ფონ გასელისა, საგარეო საქმეთა სამინისტროს ყოფილი მრჩეველის ტროტ ცუ ზოლიცისა, ბერლინის ყოფილი პოლიციი-პრეზიდენტის გრაფ ჰელდორფისა და ყოფილი დეპუტატის პაულ ლეჟენ-იუნგისა.

ბერლინის რადიო აცხადებს, რომ აღნიშნულ პირებს განზრახვა ჰქონდათ დაემხოთ ჰიტლერი და შეექმნათ ახალი მთავრობა. რიხსკანცლერის პოსტზე ითვალისწინებდნენ ჰერდელერს, ვიცე-კანცლერის პოსტზე — ლაშნერს და საგარეო საქმეთა მინისტრის პოსტზე — ფონ გასელს. მათ კავშირი დაამყარეს შეთქმულების მონაწილე გენერლებთან და ოფიცრებთან და მოითხოვდნენ, რომ გადატრიალების გეგმების განხორციელება ჰიტლერის მოკვლით დაწყებულიყო.

ყველა ბრალდებულს მიესაჯა სიკვდილით დასჯა ჩამოხრჩობით.

სომპარი მოქმედება სლოვაკიაში

ლონდონი, 10 სექტემბერი (საკადესი). რეიტერის სააგენტო გადმოგვცემს ჩეხოსლოვაკიელ სამხედრო ხელისუფალთა ცნობას, რომ ჟილინა-ვრუდკის რაიონში ბრძოლები გრძელდება. ქალაქი ჟილინა ჩეხოსლოვაკიელ პატრიოტთა ხელშია. აღმოსავლეთიდან მოწინააღმდეგე გვაწვება მდინარე ვაგის სათავეებში. შემომტევ მოწინააღმდეგეს დიდი ზარალი მოსდის. ტრსტენის და ტელგარტის რაიონში მტკიცედ უკავიათ ჩეხოსლოვაკიელთა რაზმებს. აღმოსავლეთ სლოვაკიიდან იუწყებიან პარტიზანთა აქტიური მოქმედების. შესახებ. მათს ხელშია ვრცელი რაიონები. მძიმრობა იმ რკინიგზებსა და გზატკეცილებზე, რომლებსაც გერმანელები იყენებენ, თითქმის სრულიად შეწყვეტილია.

ამერიკელი რადიოკომენტატორი ესპანეთში გერმანელთა პირავშის შესახებ

ნიუ-იორკი, 11 სექტემბერი (საკადესი). ამერიკელი რადიოკომენტატორი ჰედლერი აცხადებს, რომ გერმანელები უკონტროლოდ პარპაშობენ ფრანკისტულ ესპანეთში. ბევრი ჰიტლერელი აქ ეძებს თავშესაფარს იმ შემთხვევისათვის, თუ გერმანია დამარცხდება. ესპანეთში უკვე იმყოფება ათასობით გერმანელი, რომლებიც კონტროლს უწევენ ესპანეთის სამხედრო მრეწველობის 25 პროცენტზე მეტს. ესპანეთში გადატანილი გერმანული საწარმოები სრული დატვირთვით მუშაობენ და უკვე სახავენ ლათინურ ამერიკასთან ვაჭრობის გეგმებს.

ბელორუსიის პირველი ფრონტი. ვისლაზე — ფოტო ე. კოპიტ...

მცხეთის არქეოლოგიური ექსპედიციის ახალი ნარმაგებანი

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოს ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის ინსტიტუტის მცხეთის არქეოლოგიური ექსპედიციის ბაგინთის ჯგუფი წარმატებით განაგრძობს საქართველოს უძველესი დედაქალაქის, მცხეთის აკროპოლის რაიონის შესწავლას.

სადღეისოდ არქეოლოგიურმა გათხრებმა თიმოქმის სავსებით გამოამეღავნეს აკროპოლის სამხრეთის გრანდიოზული კედელი. მისი სიგრძე დაახლოებით ერთ კილომეტრს უდრის და სისქე 2,5-4 მეტრს, ხოლო კოშკებთან კი 6-8 მეტრს აღწევს, აკროპოლის მთელს სიგრძეზე ამოკვეთილი კედელში ჩადგმულია კარგად თლილი ქვის საძირკველი, რომელზედაც 2-2,5 მეტრის სიმაღლეზე ამოყვანილია ალიზის კედელი.

მიუხედავად იმ სიძნელისა, რომელიც კარგადაა ცნობილი ანალოგიურ შემთხვევებში სხვა ქვეყნების არქეოლოგთათვის, ბაგინთში შედარებით ადვილად ხერხდება ალიზის დამწეწილი კედლის იზოლაცია და ამით პირველადელი სურათის წარმოდგენა.

შესანიშნავი სამშენებლო კულტურის კიდევ ერთი მაჩვენებელია წყალსადენის რთული სისტემა. ჯგუფმა აღმოაჩინა წყალსადენის ორი სახე: დახურული — კირის ხსნარის თიხის მილებით და ღია — კარგად დამუშავებული, სავანგებოდ ამოკვეთილი ქვის ღარებით. როგორც ჩანს, წყალსადენები კარსნის წყაროებიდანაა გამოყვანილი; ისინი ჰკვეთენ აკროპოლის კედელს და შიგნითა ტერიტორიაზე შედიან.

ციხე-ქალაქის კედლების გათხრა-გამომჟღავნებასთან ერთად ჯგუფი მუშაობს შიგნითა ტერიტორიაზეც. მომდინარე წელს 2,5 თვის განმავლობაში გაითხარა დაახლოებით 1200 მეტრი ფართობი. აქ დადასტურებულია ... და ამავე ტერიტორიაზე სხვადასხვა ... სამი ქალაქის არსებობა. გათხრებმა დამტკიცა, რომ ... ერთმანეთს დაშორებული, მშენებლობა ... ტექნიკით, ნაგებობათა ტიპებითა და ინვენტარით ერთმანეთისაგან განსხვავებული ფენა.

ბოლო ხანებში აღმოჩენილი ნივთთაგან ... საკუთრებულ ყურადღებას იპყრობს ... ფენაში ნაპოვნი ბრინჯაოს მრგვალი ... ორმაგი სპირალით ორნამენტირებული, ... საქართველოს ტერიტორიაზე უძველესი ... დანვე ფართოდ იყო გავრცელებული. ... ძველთა შორის მრავლადაა მოჩუქურთმები ... ლაგვარდანთა (კარნიზთა) ფრაგმენტები, ... ლის სამკაულთა კარგად თლილი და შეკეთ... ლი ფრაგმენტები, რომელთა შორის ... წარმოადგენს ძველი წელთაღრიცხვის IV-III ... საუკუნეებისათვის დამახასიათებელ ... ბაგინთის ამ პირველ უბანზე გაცხოველებ... მუშაობა სწარმოებს, ჯერჯერობით უძველ... მესამე ფენის ნაგებობათა გასაწმენდად ... ფენის დამახასიათებელი ინვენტარის შ... სწავლად.

ინტენსიური მუშაობა სწარმოებს აგრ... არნაზის უბანზე. აქ ბოლო ხანებში აღმო... ნილ სამარხთაგან აღსანიშნავია სამარხი № ... რომელიც მოგვცა ძვირფასი ქვებით შემკ... ქინძისთავები. არმაზის უბანში მოპოვ... ნივთთაგან ყურადღებას იქცევენ აგრ... ბრინჯაოს სამაჯური ადამიანის სახის სკ... ტური გამოსახულებით, ბრინჯაოს ბეჭედი ... ბული კუფიკური წარწერით (აღმოჩენილი ... სექტემბერს), ფრანგელთა დამარხვის რ... ნიმე შემთხვევა და სხვა. (საქდესი).

21 მილიონი მანეთის ზეგეგმიური პროდუქცია 8 თვეში

10 სექტემბერს შესდგა საქართველოს სარეწაო კოოპერაციის საბჭოს პრეზიდიუმის გაფართოებული სხდომა, რომელზეც განხილულ იქნა სარეწაო საბჭოს სისტემის საწარმოთა განვლილი 8 თვის მუშაობის შედეგები. საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ამხ. შ. აბაიშვილმა აღნიშნა, რომ წელს შესამჩნევად გადიდდა მოწინავე საწარმოების რაოდენობა. 209 არტელიდან მიმდინარე წლის 8 თვის განმავლობაში კარგად მუშაობდა და გეგმებს გადამეტებით ასრულებდა 130. მთლიანად სარეწაო კოოპერაციის საწარმოებმა 8 თვის განმავლობაში გეგმის გადამეტებით სახელმწიფოს მისცეს 21 მილიონი მანეთის პროდუქცია.

ახლა სარეწაო კოოპერაციის სისტემის საწარმოები აქტიურად ებმებიან საოქტობრო სოციალისტურ შეჯიბრებაში და კისრულობენ ახალი მიღწევებით შესვდნენ დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის XXVII წლისთავს. შეჯიბრების ამოცანა იმაში მდგომარეობს, რომ არ გეყოფოდეს არც ერთი ჩამორჩენილი არტელი, რომ გეგმას ასრულებდეს ყველა საწარმო, ყველა საამქრო და ყველა ბრიგადა. არც ერთმა საწარმომ არ უნდა გამოუშვას დაბალხარისხოვანი პროდუქცია, უნდა მივაღწიოთ თვითღირებულების შემდგომს შემცირებას, მომჭირნეობით ვხარჯავდეთ ნედლეულსა და დამხმარე მასალები და ... ცავთ გეგმით დაწესებული ასორტიმენტი.

არტელების მუშაობას გაუმჯობესების ... კითხებზე სხდომაზე გამართულ კამათში მო... წილეობა მიიღეს ამხ. ხ. ავეტისოვმა, ა. ... პაძემ, გ. ფრუიძემ და გ. თარხანოვმა.

სხდომაზე მოსმენილ იქნა ჟიურის დასკვნა სარეწაო საბჭოს მოწინავე საწარმოთა ... გარდამავალი დროშებისა და პრემიების გადაცემის შესახებ.

აგვისტოში მუშაობის ყველაზე მაღალი ... ჩვენებლების მიღწევისათვის საქართველოს სსრ სახკომსაბჭოს გარდამავალი დროშა და პრემია 15,000 მანეთის რაოდენობით ... დაეცა ფოთის არტელს „პირველ მაისს“ (თავმჯდომარე ხ. ბათაშვილი, პარტორგანიზაციის მდივანი ვ. მილორავა).

საქართველოს სარეწაო კოოპერაციის საბჭოს გარდამავალი დროშა და მეორე პრემია 10,000 მანეთის რაოდენობით გადაეცა არტელ „პიონერიტელს“ (თავმჯდომარე ს. სხირტლაძე).

მესამე პრემია 5,000 მანეთის რაოდენობ... გადაეცა ჟოროშილოვის სახელობის არტ... (თავმჯდომარე მ. მემარნიშვილი).

მოზარდ მაყურებელთა თეატრები მოსწავლეებისათვის

მოსკოვი, 8 სექტემბერი (საკადესი). ხელოვნების საქმეთა კომიტეტის გადაწყვეტილებით მოზარდ მაყურებელთა თეატრები ამიერიდან მხოლოდ 3-7 კლასების მოწაფეებს გაუწევენ მოსახურებას. ამის შესაბამისად გარდაიქმნება მოზარდ მაყურებელთა თეატრების მთელი რეპერტუარი.

მოსკოვის, ლენინგრადის, ერევნის, ... ლისის, ბაქოს და სხვა ქალაქების მოზარ... მაყურებელთა თეატრებთან იხსნება თეატრული სტუდიები, რომლებიც მოამზადებენ ... მსახიობთა კადრებს.

კინოებში

12 სექტემბერს: **რუსთაველის სახელობის** —„დიდი მიწა“, **ოქტომბერი**—„არინკა“, **დამკვრელი**—ზამთრის და ზაფხულის — „დიდი მიწა“, **კომკავშირელი** — ზამთრის — „ორი მებრძოლი“, საზაფხულო